

ჩემი აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო №42, მაისი, 2018 წელი



ბიჭვინთის ტაძარი,
ვაჩე რაინდელის ფოტო, 2017 წელი.

„გვახსოვდეს აფხაზეთი!“ – აფხაზეთის დღის მთავარი გზავნილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ აფხაზეთის დღე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს აქტიური მონაწილეობით, წლეულს მეოთხედ აღნიშნა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დღედ 23 მაისი – სვიმონ კანანელის ხსენების დღე – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II 2014 წელს დაადგინა. წლეულს ამ დღის აღნიშვნამ ბევრად უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი სახე მიიღო, ვინაიდან ის 26 მაისის – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის ზეიმის ფარგლებში მიმდინარეობდა.

გაგრძელება მე-3 და მე-4 გვ.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წელი ფასრულდა

საქუთარო ინფორმაცია


26 მაისი ჩვენი უმთავრესი ეროვნული დღესასწაულია. წლევიდან 26 მაისი იმით იყო სრულიად გამორჩეული, რომ ქართველმა ერმა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავი იხიმა.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც 1919 წლის 12 მარტს, დამფუძნებელმა კრებამ დაადასტურა. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა და მე-15 საუკუნის შემდეგ პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო შეიქმნა.

დამფუძნებელი კრება 1919 წელს ჩატარებული საყოველთაო ფარული კენჭისყრის შედეგად დაკომპლექტდა. ის იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო რომლის მიზანსაც პარლამენტის მოწვევამდე კონსტიტუციისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმის შემუშავება წარმოადგენდა.

დამფუძნებელი კრება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, 1919-1921 წლებში მოქმედებდა.

წლეულს, 26 მაისს პირველი რესპუბლიკის საუკუნოვანი იუბილის მოსალოცად თბილისს 7 ქვეყნის პრეზიდენტი ეწვია. ამ დიდი ისტორიული თარიღის აღსანიშნავად ასევე ჩამოვიდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლების შთამომავლები.



„ჭაბა ლაღი“,
რომელიც არავის ესმის

გვ. 5



ვაჩე – მხოლოდ მისთვის
დამხმარეობა ღირს

გვ. 6



„გაბე რაინდელის
სახლი“

გვ. 7



„ჩემი სხლისკენ
მიმავალი გზა“

გვ. 9



წიფურია – XVII საუკუნის
კალხეთის ერთ-ერთი
უძველესი ცენტრი

გვ. 10

შეშელეთიდან მთაწმინდამდე...

ნატო ბრიბოლია

23 აპრილს თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსისა და მექანიკოსის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 111 წელი შესრულდა. დიდი მეცნიერი 1907 წლის 23 აპრილს აფხაზეთში, სამურზაყანოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ შეშელეთში დაიბადა. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო ამ თარიღს ყოველთვის საინტერესოდ ეხმიანება და ამ მხრივ არც წლევეანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. სამინისტროს მიზანია, რომ მის დაქვემდებარებაში არსებული აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებს დიდი ქართველი მათემატიკოსის ღვაწლი გააცნოს, მისადმი პატივისცემა და მათემატიკისადმი სიყვარული ჩაუნერგოს.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩაიამ, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მთაწმინდის პანთეონში ილია ვეკუას საფლავი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს დიდი მეცნიერის ხსოვნას.

ნიშანდობლივია, რომ შარშან ილია ვეკუას 110 წლისთავთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ მთავრობამ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებისთვის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია დაანწესა.

გარდა ამისა, ამავე თარიღისთვის ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის №11 საჯარო სკოლას აკადემიკოს ილია ვეკუას სახელი მიენიჭა. სკოლაში ფუნქციონირებს მისივე სახელობის მათემატიკური კლუბი, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი როგორც დანაყოფითი, ისე ზედა საფე-



ილია ვეკუას ძეგლი ქ. გალში

ხურის მოსწავლეები.

წლეულს ხსენებულმა სკოლამ ილია ვეკუას დაბადების დღე განსაკუთრებული კვირულით აღნიშნა. კვირულის ფარგლებში სკოლაში საგანგებო შეხვედრები, კონკურსები, ოლიმპიადები და ა.შ. გაიმართა. აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია ხსენებული კვირულის დასკვნით საღამოს დაესწრო და მან ილია ვეკუას კვირულის ფარგლებში ჩატარებული კონკურსების გამარჯვებულ ნორჩ მათემატიკოსებს სამახსოვრო

სიგელები გადასცა.

დიდმა მეცნიერმა გარდაცვალებამდე (1977 წლის 2 დეკემბერი) რამდენიმე თვით ადრე დაწერა „მიმართვა ახალგაზრდობისადმი“, სადაც ნათქვამია:

„მეცნიერული მუშაობის წარმატების უზრუნველსაყოფად მთავარია სამი რამ: ნიჭი, მუშაობის უნარი და შერჩეული დარგისადმი სიყვარული. ადამიანს ცხოვრების გზაზე თითქმის ყოველთვის მრავალი ცდუნება ელოდება. კერძოდ, ესაა სურვილი, ერთი შეხედვით საცხებით ბუნებრივი, ცხოვრების პირობების კეთილდღეობისა – ჰქონდეს ხეირიანი ბინა, კარგი ხელფასი, მანქა-

ნა, თანამდებობა და მრავალი სხვა. მეცნიერებაში წარმატებებს მიაღწევს მხოლოდ ის, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი დარგი, ვინც ყველაფერზე მაღლა დააყენებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და შემოქმედების სფეროში წარმატების მოპოვებას დაუქვემდებარებს ყველა სხვა ინტერესს. ვინც ასე მოიქცევა და წარმატებებსაც მიაღწევს, მისთვის ცხოვრების სხვა მხარეები თანდათანობით მოგვარდება და გაცილებით უკეთ, ვიდრე შეიძლებოდა, მას ახალგაზრდობის დროს ესაზებოდა, ოღონდ ამისათვის საჭიროა დრო და მოთმინების დიდი უნარის გამოუმუშავება, კერძოდ, სულის მღრღნელი შურიანობის დაძლევა“.



მთაწმინდაზე ილია ვეკუას საფლავთან

აფხაზეთის ხელბურული მემკვიდრეობა ვიზუალურად

ქეთი ღავითაია

საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის ქართულენოვანი ვიკიპედიის ერთობლივი, ერთდღიანი ვიკი-ბანაკი შედგა.

დროის სწორედ ამ მონაკვეთში ასოციაციასთან არსებულ „ნორჩ ისტორიკოსთა სკოლის“ თხუთმეტმა მოსწავლემ ქართულ ვიკიპედიაში აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ სტატიები ატვირთა. სტატიები აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფა-

სეულობათა დაცვის სამსახურმა მოამზადა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ვიკიპედიაში ერთ დღეში ქართულ ენაზე სტატიების რეკორდული რაოდენობა – 140 სტატია აიტვირთა. შეგახსენებთ, რომ ამ პროექტის ფარგლებში, აფხაზეთის ა/რ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაცია უკვე განთავსებულია როგორც ინგლისურენოვან (19 სტატია), ასევე აფხაზურენოვან (17 სტატია) ვიკიპედიაში.

პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლესა და პედაგოგს სამსახური სერთიფიკატები გადაეცათ.

„აფხაზეთის ა/რ ეფდონი მოსწავდე“ გადის ოკუპირებული ზონიდანაა

მელაა კვარაცხელია

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერი არქანაის სახელობის არტ-გალერეაში „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენად „ეტალონის“ მორიგი ინტელექტ-ჩემპიონატი გაიმართა. ერთმანეთს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები შეეჯიბრნენ (სულ 52 მოსწავლე).

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეტალონი მოსწავლის“ ტიტულს ოკუ-

პირებული გალის რაიონის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე დაეუფლა (მისი ვინაობის გაცხადებისგან კი გასაგები მიზეზების გამო თავს ვიკავებთ).

„აფხაზეთის ა/რ ეტალონმა მოსწავლემ“ მადლობა გადაიხადა დაუვინყარი ემოციისთვის: „უბედნიერესი ვარ, ჩემთვის დიდი წარმატება და გამოცდილებაა ამ გრანდიოზულ პროექტში გამარჯვება. მადლობა „ეტალონს“, ჩემს ოჯახსა და მასწავლებლებს“.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვა-



ლეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ აღნიშნა: „ეტალონი“ გრანდიოზული, ეროვნულ-საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც ჩვენი ბავშვების ინტეგრაციას, მათში სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განათლების ნახალისებას ემსახურება. მნიშვნელოვანია „ეტალონი“ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა და წარმატება. დასაფასებელია სკოლებისა და მასწავლებლების ეფექტური მუშაობა, მადლობა ამისთვის გოჩა ტყემელაშვილსა და „ეტალონის“ შემოქმედებით ჯგუფს.“

„პროექტი რომ ეროვნული მნიშვნელობისაა, ეს მრავალმა ნელმა გამოსცადა, – განაცხადა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩაიამ, – ეს დღეც ოქროს ასოებით ჩაიწერება „ეტალონის“ ისტორიაში. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ოკუპირებულ აფხაზეთში ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა ცხოვრობს, რომელთა იმედიც უნდა ჰქონდეს საქართველოს“.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილის, ბესო ოდიშარიას თქმით, „ეტალონმა“ სრულიად საქართველო ეროვნული თითქმეგებისა და ცოდნის ირ-

გვლივ გააერთიანა. პროექტი მოსწავლეების ჭეშმარიტი ფასეულობებითა და სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება, ასეთი ახალგაზრდობა ძლიერი ქვეყნის მომავალია.“

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განთლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსმა ნინო ლობჟინიძემ ეროვნულ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონს“ მეტ წინსვლასა და წარმატებასთან ერთად სატელევიზიო სივრცეში დაბრუნება უსურვა.

გალის რესურსცენტრის უფროსმა ნონა შონიამ განსაკუთრებული სიხარული გამოხატა „ეტალონი“ გალის სკოლების აქტიურად და წარამტებით მონაწილეობის გამო. მისივე თქმით, „ალსანიშნავია, რომ ინტელექტ-ჩემპიონატში გამარჯვება სწორედ ოკუპირებული გალის სკოლის მოსწავლემ მოიპოვა, მისი წარმატება არა მხოლოდ თავისი ოჯახისა და სკოლის, არამედ აფხაზეთისა და სრულიად საქართველოს გამარჯვებაა.“

„აფხაზეთის ა/რ ეტალონი მოსწავლე“ ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას.



„გვასოვდეს აფხაზეთი!“ აფხაზეთის დღის მთავარი გზავნილი

ნატო ბრიზოლია

დასაწყისი 1 გვ.

„აქ ერთად ვართ...“

აფხაზეთის დღის აღნიშვნა 21 მაისს და-
ინყო საქართველოს ეროვნული არქივის
საგამოფენო პავილიონის დარბაზიდან, სა-
დაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-
კის მთავრობის, საქართველოს იუსტიციის
სამინისტროსა და საქართველოს ეროვნუ-
ლი არქივის ორგანიზებით ფოტოგამოფენა
„აქ ერთად ვართ...“ გაიმართა. გამოფენა-
ზე წარმოდგენილი იყო ქართულ-აფხაზუ-
რი კულტურულ-პოლიტიკური თუ საზო-
გადოებრივ-სოციალური თანაცხოვრების
ამსახველი ფოტომასალა, რომელიც სა-
ქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული.
ამასთანავე, მთელი დღის განმავლობაში აქ,
ეკრანზე ეროვნულ არქივში დაცულ 4 დოკუ-
მენტურ ფილმს უჩვენებდნენ.



აფხაზური ურთიერთობები საუკუნეების
მიღმიდან მოდის. ქართველები და აფხაზები
ერთად, გვერდიგვერდ ქმნიდნენ აფხაზეთის
ისტორიულ-კულტურულ ეპოქებს და გამო-
ფენაზე წარმოდგენილი ფოტოები სწორედ
ამ რეალობას ასახავდნენ. აფხაზებისა და
ქართველების ურთიერთობა დაფუძნებული
იყო საერთო ფასეულობებსა და ტრა-
დიციებზე, რომელიც მოგვიანებით მესამე
ძალის ვერაგულმა ჩარევამ თანდათან გაა-
ცივა და ბოლოს მიეს მიერვე ინსპირირებუ-
ლი ომით დაანგრია, იმედი უნდა ვიქონიოთ,
რომ დროებით. წარსულის დავიწყება არ
უნდა დავუშვათ და აფხაზებსაც უნდა ვუ-
ბიძგოთ ამისკენ. ეს გამოფენაც ყოველივე
ამის კიდევ ერთხელ შესვენება იყო იმ დღე-
ების თვითმხილველთათვის, ხოლო ინფორმი-
რება მათი, ვისაც ამ ყველაფერზე მხოლოდ
ყურმოკერით სმენია. ამ გამოფენით უპირ-
ველესად ახალგაზრდა თაობამ დაინახა, სად
გაჩერდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობა
და საიდან უნდა გაგრძელდეს; და რომ ქარ-
თულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენის
პერსპექტივა წარსულის არდავინწყებასა და
მის გახსენებაზე, საერთო ფასეულობებისა
და ტრადიციებისადმი ერთგულებასა და პა-
ტივისცემაზე გადის.

გამოფენა გახსნა აფხაზეთის ავტონომი-
ური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომა-

რის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ
ყოლბაიამ. მან ისაუბრა ქართველებისა და
აფხაზების მეგობრობის, მეზობლობისა და
ნათესაობის ტრადიციებზე, რომელიც ომმა
გადაშალა, მაგრამ ჩვენი რწმენით მხოლოდ
დროებით. დამსწრეთა წინაშე სიტყვებით
წარსდგნენ ასევე აფხაზეთის ა/რ უმაღლესი
საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა და
აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის
მინისტრი მანანა ქვაჩახია. შემდეგ კი მანანა
ქვაჩახიამ გამოფენის დასათვალიერებლად
მოსულ ახალგაზრდებს ფოტოებზე გამოსა-
ხული ქართველი და აფხაზი მწერლებისა და
პოეტების, საზოგადო მოღვაწეებისა და პო-
ლიტიკოსების მშვიდობიანი თანაცხოვრების
ამსახველი ისტორიები მოუთხრო და თან გა-
წუმარტა: „ბოლომდე უნდა გავაცნობიეროთ,
რომ აუცილებელია აფხაზებთან საუბარი
სხვა ძალების გარეშე, რაც მხოლოდ საერთო
წარსულზე დაფუძნებითაა შესაძლებელი. ამ

მუჰაჯირობა – ბაუნაღაბალი ტაივილი



იმავე დღეს აფხაზეთის ა/რ მთავრობის,
პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის სა-
კითხა კომიტეტის, ტერიტორიული მთლი-
ანობის აღდგენის საკითხთა დროებითი
კომისიისა და შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში საქართველოს
სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანი-
ზებით, საქართველოს პარლამენტში მუჰა-
ჯირობი გახსენეს. მუჰაჯირობის უმძიმეს
შედეგებზე ისაუბრეს საქართველოს პარლა-
მენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად კვაჭან-
ტირაძემ, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავ-
მჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა
ვახტანგ ყოლბაიამ და შერიგებისა და სამო-
ქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელ-
მწიფო მინისტრის აპარატის აფხაზეთის ა/რ,
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის საკითხთა
და სამოქალაქო ინტეგრაციის დეპარტამენ-
ტის უფროსმა ზვიად ზვიადაძემ.

პარლამენტის საგამოფენო დარბაზში
წარმოდგენილი იყო მუჰაჯირობასთან და-
კავშირებული თემატური ფოტოგამოფენა,
ხოლო კინოდარბაზში გაიმართა ფილმის
„მუჰაჯირების შთამომავალი აფხაზები აჭა-
რაში“ ჩვენება.

„ფოტო-გამოფენა, ერთი მხრივ, ისტო-
რიულ ქრონიკას, ხოლო, მეორე მხრივ, 150
წლის შემდეგაც კი, აფხაზეთისა და ქართვე-
ლების გენეტიკაში დაბუდებული ტიპიკის
ამოძახილს წარმოადგენს. მივმართავ ჩვენს
აფხაზ თანამოძმეებს, რომ ჩვენ ერთი ბედის
და ერთი სატიკივარის მატარებელი ვართ,
მაგრამ ჩვენი ძალა ჩვენს შეგნებაშია“, – გა-
ნაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

დასასრულ აფხაზეთის სიმღერისა და
ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „აფხაზეთ-
მა“ ქართული და აფხაზური სიმღერები შე-
ასრულა.

„აფხაზეთი – წარსული და დღევანდელი“

აფხაზეთის დღესა და საქართველოს
პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსების 100 წლისთავს მიეძღვნა ასევე
ახალგაზრდული კონფერენცია, რომელიც
22 მაისს ვ. არქანას არტ-გალერეაში აფ-
ხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის
სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა
დაცვის სამსახურის ორგანიზებით გაიმარ-
თა. კონფერენციის თემა იყო: „აფხაზეთი –
წარსული და დღევანდელი“.

ინფორმაციისთვის: აფხაზეთის ა/რ გა-
ნათლებისა და კულტურის სამინისტროს
ინიციატივით, ქ. თბილისის საჯარო სკო-
ლებში წლეულს მეორედ ჩატარდა პროექტი:
„გავიღრმავოთ ცოდნა აფხაზეთის ისტორი-
ის შესახებ“. ამ პროექტის ფარგლებში სა-
ქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ საგანგებოდ შერჩეულ
ქ. თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები აფხა-
ზეთის ისტორიის საკითხებზე. კონფერენ-
ციაზე კი, სწორედ იმ მოსწავლეთა ერთმა
ნაწილმა, რომლებმაც ეს ლექციები მოისმი-
ნეს, აფხაზეთის თემატიკაზე საინტერესო
მოხსენებები წაიკითხეს. კონფერენციაში
ასევე მონაწილეობდნენ აფხაზეთის მეორე
და მესამე საჯარო სკოლების მოსწავლეები.

კონფერენცია გახსნა აფხაზეთის ა/რ გა-
ნათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა
ქვაჩახიამ, ხოლო კონფერენციას უძღვებოდა
სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა
დაცვის სამსახურის უფროსი ირაკლი გელენა-
ვა. კონფერენციის შედეგებზე და მის მნიშვნე-
ლობაზე ისაუბრეს: აფხაზეთის ა/რ მთავრობის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა
ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლე-
სი საბჭოს დეპუტატმა ჯემალ გამახარიაიმ,
აფხაზეთის ა/რ იუსტიციის დეპარტამენტის
აპარატის უფროსმა ავთანდილ ხაზალიამ,
პროექტში მონაწილე პროფესორებმა ზურაბ
პაპასქირმა და კახა კვაშილავამ. ბოლოს პრო-
ექტში მონაწილე ლექტორებს და მოსწავლეებს
მადლობის სიტყვები გადაეცათ.

გაგრძელება მე-4 გვ.

მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები.



„ქართული მუსიკა ზვიად ბოლქვაძისა და აფხაზეთის პაპალასთან ერთად“

ასე ერქვა აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელას კონცერტს, რომელიც აფხაზეთის დღისა და საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის ფარგლებში „თბილისის ივენთ-ჰოლში“ გაიმართა.

კონცერტზე საქვეყნოდ აღიარებული ქართული სიმღერები კაპელასთან ერთად შეასრულეს: ნუკრი კაპანაძემ, ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა და ნეკა სეპისკვერაძემ.

კონცერტს, რომელმაც მაყურებლის აღფრთოვანება და დიდი ოვაციები გამოიწვია, ესწრებოდნენ: საქართველოს ცენტრალური და აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მუსიკის მოყვარული დევნილი და არადევნილი საზოგადოება.

სვიმონ კანანელის ხსენების დღე სიონის საპატარძლო ტაძარში



23 მაისს, დილითვე აფხაზეთის ა/რ ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და პატივი მიაგო ომში დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ კი სვიმონ კანანელის ხსენების დღესთან დაკავშირებით სიონის საკათედრო ტაძარში დაესწრო პარაკლისს, რომელიც ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა აღავლინა.

წმინდა მოციქული სვიმონ კანანელი 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი იყო. მან ქრისტეს მოძღვრება ანდრია პირველწოდებულთან ერთად დასავლეთ საქართველოშიც იქადაგა, რის შემდეგაც წარმართთა მოსაქცევად აფხაზეთში დარჩა. წმინდა სვიმონი წარმართებმა ქვებით ჩაქოლეს. ის დაკრძალულია ანაკოფიაში, სოხუმთან ახლოს. შემდგომში ახალი ათონის მთაზე, მის საფლავზე მონასტერი აშენდა.

როგორც დასაწყისშიც ვთქვით, 23 მაისი – სვიმონ კანანელის ხსენების დღე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II 2014 წელს აფხაზეთის დღედაც დაადგინა.

პარაკლისს აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა,



აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, დევნილი და არა დევნილი მრევლი ესწრებოდნენ.

„აფხაზეთის დღისა“ და მოციქულ სვიმონ კანანელის ხსენების დღესთან დაკავშირებით წირვა აღევლინა ასევე ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში და აფხაზეთის ე. წ. აღმინისტრაციულ საზღვრამდე (ენგურის ხიდამდე) მსვლელობა მოეწყო. სასულიერო პირებმა ქართველთა და აფხაზთა შერიგებისა და გამთლიანებისთვის ილოცეს.

„ჩემი სახლი აფხაზეთში“



ძალიან ემოციური გამოდგა საქართველოს პარლამენტში გამართული აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა „ჩემი სახლი აფხაზეთში“.

საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთის საჯარო და გალის ოკუპირებული ტერიტორიის სკოლების მოსწავლეების ნამუშევრები გამოიფინა. მოზარდებმა დამთვალეირებლებს წარმოსახვით დახატული მშობლიური სახლები ან სულაც აფხაზეთში გადაღებული ფოტოები წარუდგინეს.

მოსწავლეებს პარლამენტის თავმჯდომარემ გიორგი კობახიძემ, სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა, ვახტანგ ყოლბაიამ, პარლამენტარმა მამუკა მდინარაძემ და სხვ. მიმართეს და ისინი სიგელებით დააჯილდოვეს.

ანსამბლ „აფხაზეთის“ საიუბილეო კონცერტი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისა და აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილ კვირეულს თავისებური ხიბლი შესძინა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ საიუბილეო-საანგარიშო კონცერტმა, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა უმასპინძლა.

ანსამბლს იუბილე მიულოცეს აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავამ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ. მიხეილ გიორგაძემ აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელს ლევან ღვინჯილიას ხელოვნების ქურუმის ჯილდო გადასცა, ხოლო ანსამბლის წევრებს აფხაზეთის ა/რ მთავრობის მაღლობისა და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელები გადაეცათ.

საიუბილეო საღამოს დასაწყისში დამსწრე ანსამბლის 40 წლიანი ისტორიის ამსახველი

დოკუმენტური ფილმი უჩვენეს. ანსამბლი მაყურებლის წინაშე ამჯერად განახლებული პროგრამით წარსდგა. კონცერტის ბოლოს კი ანსამბლის ყოფილ და მოქმედ წევრებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ, კერძოდ ანსამბლის ვეტერან წევრებს – საქართველოს ქორეოგრაფიის ამადარის ორდენები, ხოლო აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ყოფილ მთავარ ქორეოგრაფს, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარეს თეიმურაზ დარჯანიას და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლის ქორეოგრაფს, ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს სერგო გეგეჭკორს – საქართველოს ქორეოგრაფიის „ბრწყინვალეების ორდენი“.

ანსამბლ „აფხაზეთის“ საიუბილეო-საანგარიშო კონცერტს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დასრულდა აფხაზეთის დღისადმი მიძღვნილი გამოფენები, საღამოები, კონფერენციები თუ კონცერტები. ჩაიარეს დღეებმა, რომლებმაც კიდევ უფრო გაამძაფრეს აფხაზეთის მონატრება, გააცოცხლეს ბევრისთვის მივიწყებული სლოგანი – „გვახსოვდეს აფხაზეთი“, რომელიც ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეს მხოლოდ გახსენება!

და ისევ და ისევ „გვახსოვდეს აფხაზეთი“! – ამ რეპორტაჟსაც უკეთეს დასასრულს ვერ მოვუძებნით.

მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები.



„ჩემი სამშობლო ჩემი გულია“

ნონა ბერაია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების განყოფილებისა და აფხაზეთის ა/რ ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“ ორგანიზებით, საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. საღამოს მხარდამჭერები იყვნენ ქ. თბილისის მერია და აფხაზეთის ა/რ მთავრობა.

მუზეუმის ეზოში გამოფენილი იყო იუბილესადმი მიძღვნილი ნახატები, ხელთნაკეთი ნივთები, ნაქარგები და ა.შ. მოზარდებმა ნაიკითხეს ლექსები, ჩანახატები, ესსეები, წარმოდგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“. გიორგი უშიკიშვილის ფოლკლორული სკოლის მომღერლებმა კი ქართული, აფხაზური და ლაზური სიმღერები შეასრულეს.

დასასრულ აფხაზეთის ავტონომიური რეს-



პუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა მანანა ქვაჩახიამ შემოქმედებითი საღამოს მონაწილეებს თბილისის საკრებულოსა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპეციალური დიპლომები და საჩუქრები გადასცეს.

საღამოს აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, დიდუბის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ვლადიმერ ძნელაძე, აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სტუდენტები, მოზარდები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ქვათა დაღადი“, რომელიც არავის ესმის

მაია შონია

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის დარბაზი ერთი თვით დაეთმო ფოტოგამოფენას „აფხაზეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა: ფაქტები, შეფასებები“, რაც საბჭოთა ოკუპაციის სა-უკუნოვანი ისტორიის სამწუხარო გაგრძელებაა. აქ წარმოდგენილმა ფოტომასალამ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიზან-მიმართულად განადგურებისა და იქიდან ქართული კვალის (წარწერების, არქიტექტურის, ფრეს-კების) წაშლის ფაქტები ასახა. მხოლოდ ილორისა და ბედიის ტაძრების ამჟამინდელი მდგომარე-ობის უწინდელთან შედარებაც (გამოფენა ამ პრინციპით იყო აწყობილი) კი კმარა იქ არსებული მდგომარეობის შესაფასებლად. ფოტოებმა აფხაზეთის სკოლების დღევანდელი რეალობაც გად-მოსცა. ამჟამად კონფლიქტის ზონაში არც ერთი ქართული სკოლა არ შემორჩა, უკიდურესად შეზ-ლუღულია ქართულ ენაზე სწავლება.

ოკუპანტებმა ძეგლების განადგურება არ იკმარეს და ისტორიის უფრო „საფუძვლიანად“ შეც-ვლას შეუდგნენ – შექმნეს ე. წ. მშვიდობის ელჩების ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო საზოგა-დოებრიობას უმტკიცებს, რომ ამ ძეგლებს ქართველები ანადგურებენ და მათ შველას სთხოვენ. საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში გამოფენის მონყობა ამ პროცესის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო. გამოფენას აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების გარდა, საქართველოს საგარეო უწყების, დიპლომატი-ური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ის აფხაზე-თის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მანანა ქვაჩახიასა და აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს წევრის ზურაბ ჯგუზურიას კურატორობით ჩატარდა. გამოფენის პარტნიორები იყვნენ საქართველოს ოუნესკოს ეროვნული კომისია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

გამოფენა, რომელსაც სევდიან რეფრენად აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის საგუნდო კაპელას (სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ბოლქვაძე) მიერ შესრულებული ნაწარ-მოებები გასდევდა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ გახსნა: – სიმბოლურია, რომ ასეთ სევდიან გა-რემოში ვიკრიბებით ძალიან სევდიანი ამბის გა-მო, მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფე-რი დროებითია და ძალიან მალე ყველა ჩვენგანს ექნება საშუალება, იმოგზაუროს აფხაზეთში, იცხოვროს აფხაზ მძებთან ერთად და ამ ტერი-ტორიაზე არსებული ჩვენი კულტურული მემ-კვიდრეობა ისე იყოს დაცული და მოვლილი, რო-გორც ეს ჩვენი წინაპრებს ჰქონდათ. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ არა მხოლოდ წარსულში, არამედ გავიხედოთ მომავლისკენ. ანალოგიური ხასი-ათის გამოფენას, იმედია, მომავალში, ბევრად უფრო ნათელ გარემოში წარმოვადგენთ. დღეს კი, სამწუხაროდ, ოკუპაცია კვლავ გრძელდება.

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიაზე არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და იქ მიმ-დინარე მოვლენები შეაფასა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტმა მანანა ქვაჩახიამ: – ამ საგამოფენო სივრცეში შევე-ცადეთ ფოტომასალის საშუალებით საზო-გადოებისათვის წარმოგვედგინა აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის მრავალ პრობლე-მათაგან რამდენიმე: კერძოდ, იქ არსებული ის-ტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგ-ლების სავალალო მდგომარეობა და მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლების, საუბრის, სიმლე-რის აკრძალვა. დღეს იქ ნადგურდება განუშე-ორებული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. ოკუპანტების მხრიდან აფხაზეთში კულტუ-რული მემკვიდრეობის ძეგლებზე განხორცი-ელებული ვანდალური აქტების შედეგად ეს ფასეულობები კარგავენ ავთენტურობასა და უნიკალურობას. საფრთხის წინაშეა საქართვე-ლოს კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომელიც ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორ-ჩენილა.

მიუხედავად ამ საკითხების სხვადასხვა დონეზე არაერთხელ დასმისა, მდგომარეობა თანდათან უფრო მძიმდება. დღეს ოკუპირე-ბული აფხაზეთის ტერიტორიიდან იღვენება უძველესი ქართული ენაც თავისი უნიკალუ-რი დამწერლობით, ანბანით, რომელსაც 2016 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურუ-ლი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა. გალის რაიონში დღითიღვე რთულდება მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. საოკუპაციო რეჟიმმა მეტისმეტად გაამკაცრა კონტროლი სკოლებზე; შეიზღუდა რეგიონთან კომუნიკაციის შესაძლებლობა. პრობლემად რჩება განათლების ხელმისაწვდომობის სა-კითხი, რადგან გამყოფ ხაზზე მოსწავლეების გადაადგილებას ხელს უშლიან, აკავენებ, აჯა-რნიბენ რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარები, რითაც უხეშად ირღვევა იქ მცხოვრე-ბი ქართველების ფუნდამენტური უფლებები. მთელ აფხაზეთში და გალის რაიონში დღეს არ არსებობს არც ერთი ქართული სკოლა. მიმდი-ნარე პროცესები მიზნად ისახავს ეთნიკურად ქართული მოსახლეობის ენისა და კულტურის რუსიფიკაციას, მათ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო სივრციდან მოწყვეტასა და საქართველოსგან სრულ იზოლირებას. სამწუ-ხაროდ, ზემოქმედების შეზღუდული ბერკეტე-ბის გამო, ამ მწვავე და მტკივნეული საკითხის გადაჭრაში კვლავაც საერთაშორისო ორგანი-ზაციების ძალისხმევითა და დახმარების იმე-დად ვრჩებით.

საბჭოთა ოკუპაციის დარბაზში წარმოდგე-ნილი ფოტომასალა უფრო ზუსტად გადმოს-ცემს სათქმელს, მეტად ამძფრებს განცდებს და აღქმას იმ ვითარებისა, რაც აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზეა. იმედს გამოე-თქვამთ, რომ ერთობლივი ძალისხმევა შეგვა-ჩერებინებს ოკუპანტების მიერ დაგეგმილ იმ აქტიურ პროცესებს, რომელთა მთავარი მიზა-ნია ქართული კვალის წაშლა საქართველოს ამ ძირძველ მინაზე.

გამოფენის კურატორმა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ზურაბ ჯგუზ-ურიამ აფხაზეთის ე. წ. მშვიდობის ელჩების საქ-მიანობასა და გამოფენის მნიშვნელობაზე ისა-უბრა: – აქ წარმოდგენილი მასალა არის ძალიან მცირე ნაწილი იმისა, რაც ჩვენ გავგაჩნია. ეს მა-სალა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის არის 2011 წლიდან დღემდე თვით რუსულ-აფხა-ზური წყაროებიდან მოპოვებული. მათ შორისაა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკომოსის“, რუ-სეთის კულტურის სამინისტროს, მუზეუმების საერთაშორისო გაერთიანების მიერ მოწოდე-ბული მასალები. 2017 წელს რუსმა სამხედრო-ებმა წებელდაში დაანგრიეს მეცხრე საუკუნის ტაძარი და მთლიანად მოშალეს ცარიზმის დრო-ინდელი პოლონელების სასაფლაო. ეს ძალიან მძიმე ფაქტი რუსეთის წინააღმდეგ თავად აფ-ხაზებმა ამხილეს – ასეთი რამეც მოხდა.

ჩვენ ამ გამოფენით ვამბობთ, რომ იქ მიმდი-ნარეობს ყოველგვარი ქართულის მიზანმიმარ-თული ნგრევა. ეს არის კულტურული გენოცი-დი, რომლის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია მხო-ლოდ ვილაპარაკოთ. ამიტომ ამ დარბაზიდანაც და უფრო დიდი (იუნესკოს და გაეროს) ტრი-ბუნებიდანაც აუცილებლად უნდა განვაცხა-დოთ ეს ყველაფერი. რუსეთის ხელშეწყობით შეიქმნა ე.წ. კეთილი ნების ელჩების ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ ასევე რუსეთის მომხრე ევროპელი „იდიოტები“, რომლებიც გაჰყვი-რიან, თითქოს ქართველებმა მოუწყვეს გენო-ციდი ამ ძეგლებს. ამ გამოფენით კარგად ჩანს ჩვენ რის მომწყობებიც ვართ. დიდი მადლობა დავით ლორთქიფანიძეს მხარდაჭერისთვის. ეს დარბაზი დიდი დატვირთვის მქონეა. წლეულს აფხაზეთის ოკუპაციიდან 25 წელი შესრულდე-ბა. აფხაზეთის ტერიტორია უძველესი ქრისტი-ანული სამყაროს შემადგენელი ნაწილია, რასაც იქ არსებული განადგურების პირამდე მისული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც ადას-ტურებს. ესაა დანაშაული არა მხოლოდ ქარ-თული სახელმწიფოებრიობის, არამედ კაცობ-რიობის წინაშე.

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ მთავ-რობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრუ-ლებელი: – ამ ღონისძიებით კიდევ ერთხელ შევახსენებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, რომ ჩვენ არ ვეგუებით აფხაზეთის დაკარგვას და მზად ვართ, აფხაზებთან ერთად გადავწყვი-ტოთ ბევრი საკითხი. კულტურული მემკვიდ-რეობის დაცვის საკითხი ერთ-ერთი მთავარია ჟენევის კონფერენციაზე. ოკუპაციის მუზეუ-მის დარბაზში გამართულ გამოფენაზეც ბევრი უცხოელი სტუმარი მოვიდა. ძალიან მნიშვნე-ლოვანია მათთვის ამ პრობლემის შესხენება, რადგან ეს არის არა მხოლოდ ქართული და აფ-ხაზური კულტურული მემკვიდრეობა, არამედ მსოფლიო საგანძური, რომლის გადარჩენაზეც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. მათი განად-გურება ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვა-კისრებს მომავალი თაობების წინაშე.

შექმნილი ვითარება შეაფასა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოად-გილემ, ისტორიკოსმა ჯემალ გამახარაიამ: –



აფხაზებმა ოკუპირებული ტერიტორიების ბა-ტონ-პატრონებად რომ იგრძნონ თავი, უნდა დაამტკიცონ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგ-ლების სამართალმემკვიდრეები არიან. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს. მაგრამ სამართალმემკვიდრეებად გამოცხადებაში მათ ხელს უშლის ამ ძეგლების ქართული არქიტექტურა, მათზე ჯერ კიდევ X-XI საუკუნიდან დატანებული ქართული წარ-წერები – ეპიგრაფიკა. მათი ძირითადი ამოცა-ნაა, მოიშორონ თავიდან ეს ეპიგრაფიკა, ასევე იერ-სახე შეუცვალონ ძეგლებს და შემდეგ გა-მოაცხადონ, რომ მათი ბატონ-პატრონები თეი-თონ არიან. ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. ნახეთ, ალბათ, ილორის „რესტავრირებული“ ეკლესია. ფოტოებზე ნათლად ჩანს, როგორ მიმდინარეობს ე.წ. რესტავრაცია ბედიის ტა-ძარში, სადაც განადგურდა ფრესკები, მათ შო-რის 999 წლით დათარიღებული ბაგრატ მესა-მის ფრესკა. ასეთი ფრესკის პატრონი იყო და ანადგურებდე, არანორმალური ვითარებაა, ალოგიკურია, გაუგებარია. აფხაზეთი ზოგა-დოდ ძალიან მდიდარია ძეგლებით და გუდაუ-თის მხარე არანაკლებ მდიდარია, ვიდრე სხვა რაიონები. ქართული კულტურის ყველაზე

ნაკლებობას არ განიცდის. მათ აგენტები ევ-როპაშიც საკმარისად ჰყავთ. ისინი ვითომ ჩვენგან იცავენ ამ ძეგლებს. ჩვენი ამოცანაა, მსოფლიოს გავაგებინოთ საქმის რეალური ვი-თარება, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმ-დინარეობს ქართული კულტურის ძეგლების განადგურება, ავთენტურობის შეცვლა, რათა შემდეგ დაიწყონ მტკიცება, რომ ეს ქართული არ არის. ინფორმაცია უნდა გავავრცელოთ არა მხოლოდ წერილობით, არამედ ფოტომასალის სახითაც, სადაც ასახული იქნება, რა იყო ადრე და რა ხდება ახლა, ე.წ. რესტავრაციის შემდეგ.

გია გვაზავა, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი



ძველი ძეგლები, ყველაზე ძველი წარწერები თავის დროზე სწორედ გუდაუთის რაიონშია აღმოჩენილი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ გუდაუთის რაიონი, ისევე როგორც გალის რაიონი, დახუცდულია ქართული კულტურის ძეგლებით, ქართული ეპიგრაფიკით. დღეს მა-თი მდგომარეობა ნაკლებად ვიცით.

ასევე არ ვიცით, რა ხდება დრანდაში. თუმ-ცა თვით აფხაზეთიც კი ძალიან უკმაყოფილო-ნი არიან იქ მიმდინარე ე.წ. რესტავრაციით. ასე რომ, პრობლემა სერიოზულია. რამდენიმე ხნის წინათ სეპარატისტებმა შექმნეს კეთილი ნე-ბის ელჩების რაღაც გაურკვეველი ჯგუფი და მთელ მსოფლიოს ამცნეს, რომ ისინი ძალიან შეწუხებულნი არიან კულტურული მემკვიდ-რეობის ძეგლების მდგომარეობით აფხაზეთში და მიმართავენ მსოფლიოს, რომ დაეხმარონ ამ ძეგლების დაცვაში, რესტავრაციაში და ა. შ. სინამდვილეში ამ მოძრაობას კულტურის ძეგლებთან არაფერი საერთო არ გააჩნია. მათ სურთ, ამ ძალიან პოპულარული თემით გა-ვიდნენ საერთაშორისო არენაზე. ამ ძეგლების დაცვა და რესტავრაცია მათ ყველაზე ნაკლე-ბად აინტერესებთ. ეს არის სატყუარა, რომე-ლიც მათ შეუგდეს ევროპას და ძალიან ბევრი ადამიანი ამას წამოეგო. რუსეთი აგენტურის

საბჭოს თავმჯდომარე: – ერთადერთი გზა და ბერკეტი, ეს არის იუნესკო და სხვა საერთაშო-რისო ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენ შეგ-ვიძლია ხმა მივანვიდნოთ და მოვთხოვით ქმე-დება. თუ რესტავრატორებია დასაშვები, დაიშ-ვას საერთაშორისო დონის რესტავრატორები და არა თვითნასწავლი ადამიანები, რომლებიც ამახინჯებენ ძეგლებს, როგორც ეს ილორის ტაძრის შემთხვევაში მოხდა. ვითარება ცოტა-თი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ძეგ-ლი რუსებმა ხელყვეს და ეს აფხაზებმა თავად გააპროტესტეს. ამდენად, ეს ის ველია, სადაც უნდა მოვინახოთ საერთო ენა, თუმცა აფხაზებს ბევრს არაფერს ეკითხებიან. მათი ნაწილი და-ინტერესებულია კიდევ ჩვენი ძეგლების გაქ-რობით, ან გადაკეთებით ან სახელის გადარ-ქმევით. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, რუსე-თის ხელშეწყობით ხდება.

ეს გამოფენა კიდევ ერთხელ შეახსენებს სა-ზოგადოებას, მათ შორის საერთაშორისო სა-ზოგადოებას, რომ ეს არის ჩვენი კვალის წაშ-ლა. ინგრევა საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რაც არის ასიმილაციისა და ოკუპაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზენებული.

მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები.

იყი - მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმით

მაია შონია

შესანიშნავი პოეტი, კოლორიტული პიროვნება, რომელმაც სოხუმში პოეტური სკოლა შექმნა და გაზარდა თაობები, ენერგიით სავსე, ხალისიანი და ნათელი ადამიანი – კიდევ არაერთ ეპითეტს იმეცებდნენ უშურველად გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, შოთა რუსთაველის, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის გენო კალანდიასთვის ახლობლები, კოლეგები, მეგობრები მისი ხსოვნის საღამოზე. საღამო ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ გამართა (ორგანიზატორი იყო სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ღონისძიებების სამსახური).

გენო კალანდიას გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა და მის მოსაგონებლად აქ თავი მოიყარეს პოეტის ოჯახის წევრებმა, ახლობელ-მეგობრებმა და მისი პოეზიის თაყვანისმცემლებმა. ლიტერატურულ საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია ვოლსკი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვანაია, აფხაზეთის ა/რ ხელისუფლების წარმომადგენლები, ლიტერატორები, ხელოვნები და ა. შ.

ის იყო პოეტი, რომლის შემოქმედებამაც ღირებულებების გადაფასების ეპოქაში დრო-



ის გამოცდა ადვილად ჩააბარა – ეს აზრი ერთგვარ რეფრენად გასდევდა ყველა გამომსვლელის სიტყვას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გია გვაზაშვილმა პოეტის შემოქმედებიდან მისი ბოლო კრებული „საგალობელი უფლისათვის“ გამოარჩია: – ჩემთვის დიდი პატივია, ვილაპარაკო ჩემს მეგობარზე, ჩემს კოლეგაზე, ჩემს გენოზე. დააკვირდით მის ფოტოს, ფრანგ მსახიობს ჰგავს თავისი საოცარი აურით, განუმეორებელი ღიმით. სამი ძმა, სამივე პოეტი და მწერალი, დიდი იშვიათობაა. მე სხვა ასეთ ოჯახს არ ვიც-

ნობ. სამივე განუმეორებელია თავისებურად – რენეც, ზაურიც და ჩემი გენოც. და მაინც, ამ საოცარი ოჯახის გამორჩეული სახე იყო გენო. მთელი ომის განმავლობაში ის სოხუმს არ მოცილებია. მერე იყო ჭებური და დიდი სიძნეულები. გენო ყოველთვის იდგა იქ, სადაც საქართველო იდგა. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენი სიტყვა ესმის. ჩვენი თაობა დიდი ეკლესიურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ბოლოს რაც მან გააკეთა, ეს იყო საოცრება, ერთგვარი წინათგონობა. მისი ბოლო კრებული განუმეორებელია, ძალიან ღრმაა. ის ესაუბრება უფალს და დარწმუნებული ვარ, ის ახლა მასთანაა.

პოეტმა რეზო ამაშუკელმა გენო კალანდიას ძეგლის სოხუმში დადგმა იხატრა: – გენო ჩემთვის არის დახვეწილი, რაფინირებული, არისტოკრატი პოეტი. სიამოვნებით ვაცხადებ, რომ მე გენომ დამიყენა გვერდით და გენო დავიყენე მე გვერდით. ჩვენ ძმები ვიყავით. ერთი ოცნება მაქვს – იქნებ ოდესმე მოხდეს ისე, რომ სოხუმში გენოს ძეგლი დაიდგას. არ შემიძლია არ გავიხსენო დიმა ჯაიანიც. ეს ორი ადამიანი იყო ჩემთვის კავშირი აფხაზეთთან და სანამ ცოცხალი ვარ, ორივენი იწვებიან ჩემს გვერდით.

პროფესორმა ანნელა გეგეჭკორმა გენო კალანდიას უწოდა გამორჩეული ადამიანი, რომლის ცხოვრებაც, მისი თქმით: – დულდა და გადმოდულდა. აბსოლუტური არაკანონზომიერება ასეთი ადამიანის ამქვეყნიდან ნადრევად წასვლა. პიროვნება, რომელსაც შეუძლია ამდენი სიამოვნება მიანიჭოს და ასეთი შემოქმედება უძღვნას თავის ხალხს, ძალიან იშვიათია. ის იყო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ღიმით დაჯილდოებული კაცი, რომელმაც ჭებური გადაიარა და მაინც შერჩა ღიმის უნარი. ის მოწყვნილი არასდროს გვინახავს. ბოლოს მისი შესანიშნავი ორტომეული გამოიცა „საგალობელი უფლისათვის“, საკრალური და საბედისწერო, სადაც ის უფალს ესაუბრება.

კრიტიკოსი ციალა მესხია, გენო კალანდიას შემოქმედებაზე გამოცემული მონოგრაფიის ავტორი, დარწმუნებულია, რომ მისი პოეზია დროს აუცილებლად გაუძღვება: – ნავიდა ჩვენგან კოლორიტული პიროვნება, ჩვენი სულიერი დამპყრობელი. ისტორიული გადაფასების ხანაში ძნელია შექმნა ის სულიერი ღირებულებები, რაც შექმნა გენო კალანდიამ. დრო ყველაფერს გადააფასებს და გენო კალანდიას შემოქმედება მარადისობაში დაიმკვიდრებს ადგოლს. ჩვენმა ლიტერატურულმა სამყარომ სიცოცხლეშივე დააფასა მისი პოეზია, მაგრამ პირველი სოლიდური მონოგრაფიის დაწერა მის შესახებ წილდა მხედა მე და მადლობას ვწირავ ამისთვის უფალს.

გენო კალანდია სოხუმში ნოვატორ პოეტად იყო ცნობილი, რომელსაც ახალგაზრდა თაობაზე დიდი ზეგავლენა ჰქონდა. ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მწერალი გურამ ოდიშარია, რომელმაც თავისი მასწავლებელი ასე გაიხსენა: – გენო კალანდია გავიცანი ისეთი, როგორიც პორტრეტებზეა. ხშირად ვიყავით ერთად. ფაქტობრივად, მან დამილოცა გზა, მე მასთან ვიზრდებოდი. სოხუმში უზარმაზარი და ყველაზე კარგი ბიბლიოთეკა იშვიათი წიგნებით გენოს ჰქონდა და მასთან შესანიშნავი საუბრებიც იმართებოდა. ჩვენ, ახალი თაობა, მისი ლექსებით ვიზრდებოდით, ის იყო ჩვენი ლიდერი, ქართული ლექსის ნოვატორი. აფხაზეთში ასეთი ლექსების დაბეჭდვა არ იყო ადვილი საქმე. ყველა განსაცდელი ჩვენ მან გამოგვატარა. შემდეგ იყო ომი, როდესაც გენო კალანდიას მთელი სინათლე და ფერადოვნება კიდევ უფრო მძაფრად გამოჩ-

ნდა. ის იყო სიცოცხლით სავსე პოეტი, ადამიანი დღესასწაული. საოცრად უყვარდა აფხაზებიც და მათ შორის ბევრი მეგობარი ჰყავდა. ომის შემდეგ ერთი ცნობილი აფხაზი მწერალი ჩამოვიდა თბილისში და გენოსთან წავიყვანე სტუმრად. როცა გენომ კარი გააღო და ეს ადამიანი დაინახა, თქვა – დრო ამერია, სოხუმში ვარ ახლა თუ თბილისში, ვერ გავიგეო. ამაზე აფხაზ კაცს ცრემლები მოერიო. გენომ დატოვა დიდი სიცარიელე, რომლის ამოვსებაც ასეთი ენერგიული და ნათელი ადამიანის წასვლის შემდეგ ძნელია.

პოეტმა მანონ ბულისკერიამ გენო კალანდიასთან მუშაობის წლები გაიხსენა: – ბატონი გენო განსაკუთრებულად განიცდიდა თავის მკითხველთან შეხვედრას. მქონდა პატივი, თითქმის ორი ათეული წელი მემუშავა მის გვერდით. მუამაყება, რომ მისი ბოლო პერიოდში გამოცემული ყველა პოეტური კრებულის რედაქტორი ვარ. ეს არ იყო ადვილი. ეს დიდი პასუხისმგებლობა იყო. ჩვენი თანამშრომლობა დამთავრდა წარმატებით – კრებულმა „ფესვები“ მას რუსთაველის პრემია მოუპოვა. გენო კალანდიას შემოქმედების მნიშვნელოვანი პერიოდი იყო გოიას თემის შემოტანა. აქ გამოჩნდა მისი დამოკიდებულება ომთან, აფხაზეთთან. ასევე გამოიჩინა მისი პორტრეტები და რა თქმა უნდა, რეკვიემი.

პოეტს განსაკუთრებულად უყვარდა მშობლიური კუთხის სიმღერები. აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან ლვინჯილიამ გაიხსენა პოეტის მიერ ოჯახში საოცარი სიყვარულით შესრულებული მეგრული სიმღერის ჩანაწერი: – მოლექსე და მომღერალი ხშირად გაყოფილი არ არის ხოლმე. ზოგ ქვეყანაში პოეტები ლექსებს მღერიან. ამბობენ, რომ ბრმა ჰომეროსი დადილობდა და ილიადას და ოდისეას“ მღეროდა. მერე ვილაცქვამ ჩაწერეს. გენოც მღეროდა. განსაკუთრებულად უყვარდა თავისი მშობლიური კუთხის სიმღერები. ჩვენ გენოს სულს შევესრულებთ ამ სიმღერებს.

ძმის სიცოცხლეში მასზე საუბარს თავს არიდებდა ხოლმე, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ თავს უფლება მისცა და გენო კალანდიასზე ორიოდ სიტყვა მწერალმა ზაურ კალანდიამაც გვითხრა: – გენო ჭეშმარიტი პოეტი და მოღვაწე კაცი იყო. აფხაზეთის ტრაგედიამ მის გულზე გაიარა და ეს გენოს ბოლოდროინდელ ლექსებში განსაკუთრებულად გამოჩნდა. სამიწილი უღელტეხილის გამოვლის შემდეგ უფრო მძაფრი და მტკივნეული გახდა ეს ყველაფერი. გენო სოხუმში ყველა სტუმარს მასპინძლობას უწევდა. სიმპათიური ბიჭი იყო. სოხუმელები ხუმრობდნენ კიდევ – სოხუმში გენო კალანდია და ყავა მოდამო. ის იყო კოლორიტული პიროვნება, მან სოხუმში ერთგვარი სკოლა შექმნა. გურამ ოდიშარია, რენე კალანდია და სხვა ახალგაზრდების გამოჩენა, ეს გენოს დამსახურება იყო. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ის მართლა უყვარდა. სასიამოვნო, ნათელი, მომფერებელი, სიყვარულის კაცი იყო. ღმერთმა ქნას, სოხუმი დაგვიბრუნდეს და თუ დაბრუნდება, იმ ქალაქს გენო კალანდია აუცილებლად დააკლდება.

საღამოზე წარმოდგენილი იყო გენო კალანდიას ლექსებზე შექმნილი კომპოზიცია, რომელიც სოხუმის მოზარდ-მაყურებელთა თეატრ „თეთრი ტალღასა“ და გრიბოედოვის თეატრის მსახიობებმა შეასრულეს. საღამოს მუსიკალურ თანხლებას აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“ უწევდა.

მიხეილ როსტომაშვილის ფოტოები



მის სახელს თაობები სიამაყით მოიგონებენ

18 აპრილს 100 წელი შეუსრულებოდა საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ქალაქ სოხუმისა და მთელი აფხაზეთის ღირსეულ მოქალაქეს ოდიკი დიმიტრის ძე ჭკადუას.

1943 წელს თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე იგი ჩადა აფხაზეთის სამოქალაქო და სატრანსპორტო მშენებლობის სამსახურში.

ღირსეულმა მამულიშვილმა მთელი ცხოვრება აფხაზეთის აღმშენებლობას მოახმარა. მან თავისი პროფესიონალიზმით არაერთი ღირსსახსოვარი ნაგებობა შესძინა მშობლიურ კუთხეს და დიდი წვლილი შეი-



ტანა აფხაზეთის რკინიგზის მშენებლობაში.

არც ომის ქარცეცხლიან დღეებში განშორებია საყვარელ სოხუმს. მის თვალწინ იფერფლებოდა ეს მშვენიერი კუთხე, ნადგურდებოდა მისი ხელით ნაშენები საინჟინრო ძეგლები.

მშობლიური აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეულ დარდს ვერ გაუძლო მისმა გულმა და ეს განშორება საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. იგი იმსხვერპლა იმ განცდამ, რომ ვერასოდეს ელირსებოდა საკუთარ კუთხეში დაბრუნებას, მშობლიურ მიწაზე სამუდამო განსასვენებელს.

1994 წლის 21 თებერვალს 75 წლის ასაკში დარდით და ტკივილით სავსე გულით

წავიდა ვალმობილი და ღვაწლმოსილი პიროვნება, მაგრამ განშორების გაუნელელებელი ტკივილი დაუტოვა ოჯახს და ახლობლებს.

ოდიკი ჭკადუა იყო ადამიანი, რომელმაც ღირსეული სახელი დატოვა, მის სახელსა და ღვაწლს თაობები სიამაყით მოიგონებენ. მიუხედავად იმისა, რომ მისი გარდაცვალებიდან თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა იგი ალალ-მართალ, კეთილ და პატივსაცემ ადამიანად ახსოვთ იმათ, ვისთანაც კი მცირედი ურთიერთობა ჰქონია.

ოჯახი და ახლობლები

მაია შონია

იმის დასამტკიცებლად, რომ აფხაზეთი საქართველო არ არის, ამ ტერიტორიაზე არსებულ უძველეს და უმდიდრეს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას მავანნი შლიან და ანადგურებენ. ქართულ მხარეს კი არა თუ ამ ძეგლების გადარჩენის მექანიზმი არ გააჩნია, მათი ვიზუალური მასალის მოსაპოვებლადც წარმოუდგენელი სირთულეების დაძლევა უნევს. ერთიან საქართველოზე წიგნის გამოცემის სურვილით შეპყრობილმა ერთმა ახალგაზრდამ ვაჩე რაინდელმა (ეს მისი ფსევდონიმია) კი, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას ფასად, ყველა სირთულის გადალახვა შეძლო და საკუთარი ფინანსებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლა მოახერხა. მან აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ღირსშესანიშნაობა ფოტოზე ალბეჭდა და ენგურს გამოძიმა გადმოიტანა.

თი და ლორე. თუმცა ამ იდეას გამოხმაურება არ მოჰყვა. ამიტომ იდეის ავტორმა აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი წიგნის ცალკე გამოცემა გადაწყვიტა. ამჟამად წიგნზე მუშაობა მიმდინარეობს. გამოცემაში ვიზუალურ მასალას ისტორიული ძეგლების შესახებ ცნობები დაერთვის, ისტორიკოსების – ბეჟან ხორავას, ლია ახალაძისა და გონელი არახამიას ავტორობით. თუმცა წიგნის გამოცემის ფინანსური მხარდაჭერის საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. როგორც თავად ვაჩე რაინდელი აცხადებს, მის მიერ აფხაზეთში გადაღებული ფოტოებით კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ანთიძე დაინტერესდა. ეს ამბავი ვაჩე რაინდელმა საზოგადოებას ეროვნულ ბიბლიოთეკაში ახლახან მონყობილ საღამოზე კიდევ ერთხელ შეახსენა. ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მი-

მაა ქართველისთვის, მით უმეტეს, მაღულად. როდესაც მასალები მოვაგროვე და საჯაროდ განაცხადე, წიგნის გამოცემა მინდა-მეთქი, პირობითად „ერთიანი საქართველო“, დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. კონკრეტულად ჩავატარე, რომ ამით მაინც მიმექცია იმ ადამიანების ყურადღება, ვისაც შეეძლო თანადგომა გამოეხატა. არც ამ შემთხვევაში დაინტერესდა არავინ. მერე გადავწყვიტე, კონკრეტულად აფხაზეთზე გამეკეთებინა ცალკე წიგნი. თუმცა ამისთვის საკმარისი მასალები არ მქონდა და მეორედაც გადავედი აფხაზეთში დიდი წვალეობით, თავგადასავლებითა და სირთულეებით. ძეგლები, რომელთა გადაღებაც პირველ ჯერზე ვერ შევძელი, მეორედ უკვე მოვახერხე და გადავიღე.

- ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი პროექტი და ძალისხმევა იმ დროს, როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდ-

დროს მისი კედლები გადაღესილია, ფრესკები გადაღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის გამქრალია ქართული კვალი. მაგალითად, ასეთ დღეშია ჩხორთოლის ეკლესია, ილორი და დრანდა. ამ ტაძრებში ხალიჩებია დაფენილი და კედლებზე რუსული ხატები ჰკიდია. შემორჩენილია ქართული აგურები, რითიც არის ნაშენები ტაძრები. იქ წირვა-ლოცვას რუსეთის მოქალაქეები ალავლენენ.

სამომავლოდ კიდევ მაქვს კარგი იდეები, მაგალითად, ფილმის გადაღება მინდა აფხაზეთში, თუმცა ამასაც თანადგომა სჭირდება.

ვაჩე რაინდელი მართლაც რომ რაინდულად იქცევა, როცა აფხაზეთში – ჩვენთვის აკრძალულ ზონაში – ასე გაბედულად გადადის. და ჩვენი აზრით, რაინდულადვე იკავებს თავს, როცა ჩვენი გულგრილობის გამო უფრო მეტად არ გვსაყვედურობს.

ვაჩე რაინდელის „მოგზაურობა აფხაზეთში“



ბედიის მონასტერი

ვაჩე რაინდელი აფხაზეთში 2016 და 2017 წლებში იმყოფებოდა. მან ოკუპირებული აფხაზეთი ორჯერ მოიარა და აფხაზეთის ბევრი სოფელი და ქალაქი გადაიღო, მათ შორის: გუდაუთა, გაგრა, განთიადი, განთიადის ტყე, ჰაშუბის კანიონი, სოჭის საზღვარი, ბიჭვინთის ტაძარი, ანაკოფიის ციხე ათონში, ანაკოფიის მონასტერი თავისი გალავნით, ბიზანტიურ სტილში აგებული სვიმონ კანანელის ეკლესია, დიოსკურიის ციხე სოხუმში, ბედიის ტაძარი, დრანდის მონასტერი, ილორის ტაძარი, გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, აფხაზეთის განუყოფელი ფლორა და ფაუნა.

ფოტომასალის გამოყენებას თავდაპირველად ერთიანი საქართველოს შესახებ გამოცემულ წიგნში აპირებდა. წიგნს უნდა მოეცვა მთელი საქართველო ოკუპირებული და ისტორიული ტერიტორიებით: აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ტაო-კლარჯეთი ლაზეთი, ჰერე-

სი ლექსების ორი კრებულის „ხიდი“ და „ზღვა და მეზღვაურის“ პრეზენტაცია და ფოტოების (მათ შორის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაღებული) გამოფენა გაიმართა. ვაჩე რაინდელსაც ყოველივე ამაზე იმ პრეზენტაციაზე ვესაუბრეთ:

ვაჩე რაინდელი: – დიდი ხანია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვმოგზაურობ. მაქსიმალურად ვცდილობ შევისწავლო და გავეცნო ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, სოფლის პეიზაჟებს, ბუნებას, ყველაფერს, რაც საქართველოს წარმოაჩენს. ამგვარი მოგზაურობების შედეგად გამიჩნდა იდეა, გამეკეთებინა წიგნი, სადაც საქართველო თავის ისტორიულ და ოკუპირებულ ტერიტორიებიანად მოექცეოდა და რამდენიმე ტომად გამოიყვანებოდა. წიგნში შევიდოდა ფოტომასალა ანოტაციებით. ამან გადამაწყვეტინა შევსულიყავი აფხაზეთში, რაც საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. იქ გადასვლა, მოგეხსენებათ, რამხელა პრობლე-

რეობის საველად მდგომარეობის ამსახველი კადრების მოპოვება ქართული მხარისთვის ძალიან რთულია.

- სწორედ ამ გარემოებაზე დაფიქრებამ მომცა ძალა, რომ ეს ნაბიჯი გამემდგა. რაც შეეხება იქ არსებული ძეგლების მდგომარეობას, მოკლედ შემიძლია ასე გადმოგცეთ: ეკლესია-მონასტრების კედლებიდან წარწერები და ფრესკები ნაშლილია, რითაც მავანნი ქართულ სულს, ხასიათსა და ისტორიას შლიან. ბედიის ტაძარს აფხაზეთის ომის შედეგი, ნატყვიარები და ყუმბარამტყორცნის ნაკვალევი ატყვია. ტაძრის გუმბათი მთლიანად ჩამოშლილია და გადახურულია ჩვეულებრივი სწორი ქვით. მის ინტერიერში ხარაჩოები ახლაც დგას. ბაგრატ მესამის ფრესკის მხოლოდ მცირედი ფრაგმენტია დარჩენილი, ძირითადი ნაწილი წაშლილია. არის რამდენიმე ტაძარი, სადაც იატაკი აყრილია და კედლები ჩამოფხეკილი. ზოგიერთი ეკლესია ვითომ რესტავრირებულია და ამ



ილორის ეკლესია



დრანდის ეკლესია

ვაჩე რაინდელის ფოტოები



აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო აცხადებს ფოტოკონკურსს – „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ბეჭდები“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები მძიმე მდგომარეობაშია. არსებობს რეალური საფრთხე, რომ მათი დიდი ნაწილი რესტავრირების პერსპექტივის გარეშე განადგურდეს, რაც არა მარტო ქართული მხარის, არამედ აფხაზების გარკვეული ნაწილისა და საერთაშორისო თანამეგობრობის აღშფოთებას იწვევს. აქედან გამომდინარე, ცნობილია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა თავისი საქმიანობის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად აქცია.

სამინისტროს ქვეპროგრამა – ფოტოკონკურსი „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“, რომელსაც სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახური უკვე მეორედ ახორციელებს, ამ სტრატეგიის ნაწილია და გულისხმობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის (ეკლესია, სასახლე, ხიდი, ციხე, კოშკი, საინჟინრო ნაგებობები და სხვა, ან მათი ნაშთები) ამსახველი ფოტომასალის მოპოვებას, მათი ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირებას, რათა ახალგაზრდებს კიდევ ერთხელ გავაცნოთ და შევახსენოთ აფხაზეთში არსებული ჩვენი ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობა.

ფოტოკონკურსის დებულება და კონკურსანტის სარეგისტრაციო ანკეტის ფორმა იხილეთ სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ ბანერზე „ფოტოკონკურსი“ <http://www.meca.gov.ge>; სამინისტროს მიერ შექმნილ ვებ-გვერდზე „აფხაზეთის კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა“ (www.abculture.ge); სამინისტროს ფეისბუქ-გვერდზე. ის ასევე გამოქვეყნდება სამინისტროს პერიოდულ გამოცემაში „ჩემი აფხაზეთი“ და სხვა საინფორმაციო საშუალებებში.

კონკურსანტთა რეგისტრაციისა და საკონკურსო ფოტომასალის წარმოდგენის ბოლო თარიღია 2018 წლის 20 ნოემბერი.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართება 2018 წლის დეკემბერში. ფოტოკონკურსის 3 გამარჯვებული დაჯილდოვდება ტელეფონებით.

ჯაბა ჯაიანი: სოხუმი საოცარი ურთიერთობების ქალაქი იყო

ნატო კორსანტია

„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“, – ამ ფრთიანი ფრაზის ავტორი პოეტი მიხეილ ქვლივიძეა. მან ლექსი, რომელსაც ეს ფრაზა რეფრენივით გასდევდა, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი (ჟორა) შავგულიძის ხსოვნას მიუძღვნა. მერე თავად მიხეილ ქვლივიძეს მიუსადაგეს ეს ფრაზა, მოგვიანებით კი არაერთ სხვა გამოჩენილ პიროვნებას.

კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც დღეს ეს გამონათქვამი ზედმიწევნით შეესატყვისება, ასევე საქართველოს სახალხო არტისტი დიმიტრი ჯაიანია, რომელიც უპირველესად აფხაზეთს დააკლდა, აფხაზეთში დაბრუნებისთვის შემძახებულთა თუ აფხაზეთში დაბრუნებულთა რიცხვს. დიმიტრი ჯაიანი, ბუნებრივია, როგორც მინისტრი და ხელმძღვანელი, ასევე დააკლდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსაც.

და თითქოს დიმიტრი ჯაიანის ადგილი ამ სივრცეში სიცარიელეს ვერ იგუებდო, მისი გარდაცვალებიდან თითქმის სულ რამდენიმე დღეში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან სამუშაოდ გადმოვიდა დიმიტრი ჯაიანის ერთადერთი ვაჟი – ჯაბა ჯაიანი, რომელმაც როგორც მაშინ, ომის დროს, ისე ახლაც აფხაზეთი ვერ მიატოვა და მისგან შორს ყოფნა ვერ დაუშვა, მით უმეტეს, როცა უკვე აღარ იყო მამამისი – აფხაზეთის ერთ-ერთი გამორჩეული სახე დიმიტრი ჯაიანი.

და მაინც, რა მოტივით მიიღო ჯაბა ჯაიანმა ეს გადაწყვეტილება, ამაზე თავად გვიამბობს:

ჯაბა ჯაიანი:

– თავიდანვე უნდა ვთქვა, რომ მე და დიმა მეგობრები ვიყავით. მით უმეტეს, რომ ჩვენ შორის წლოვანებითაც მაინცდამაინც დიდი განსხვავება არ იყო. დიმა 20 წლის იყო, მე რომ დავიბადე. ამიტომაც, სადაც დიმა იდგა, ჭირი იქნებოდა ეს თუ ლხინი, თეატრი, მიტინგი, გამოსვლა თუ შემდეგ უკვე ომი, ყოველთვის მის უკან, შეიძლება ითქვას, რომ მის ჩრდილში ვიდექი.

არ დავიმალავთ, როცა მამაჩემი სოხუმში, მიტინგზე პირველად გამოვიდა და თქვა – ჯერ საქართველო და მერე ჩემი შვილიო – არ მომეწონა. მაშინაც წინა ფლანგზე, მის გვერდით ვიდექი და რომ მოვისმინე, მეუცხოვასავით. სახლი რომ მოვიდა, ვკითხე: – მამა, შენ ეს სერიოზულად თქვი თუ ხალხისთვის თავის მოსაწონებლად-მეთქი. – არა, რა თავის მოსაწონებლად, მე მართლა ასე ვარ განწყობილი, – მითხრა და გააგრძელა, – მე ქართველი ვარ და თუ საჭირო გახდა, ყველაფერს, რაც გამაჩნია, საქართველოს შევწირავო.

მერე კი თანდათან უფრო ცხადი გახდა ჩემთვის, რომ დიმა სიმართლეს ამბობდა, იმდენად იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე და თავის ფუძე-კერაზე. მართალია, ხშირად ამას მძაფრი ემოციებითა და გრძნობებით გამოხატავდა კიდევ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ამბობდა სათქმელს. სერგო ჯაიანისა და ნორა დგებუაძის ოჯახში გაზრდილი კაცისაგან ეს სულაც არ იყო გასაკვირი. ბაბუაჩემი – სერგო მეც ყოველთვის ბატონობით მელაპარაკებოდა. სიყვარულს განსაკუთრებული მოფერების გარეშე, სხვანაირად ამჟღავნებდა, მე რომ ოთახში შევიდოდი, ის ყოველთვის ფეხზე წამოდგებოდა და მობრძანდი! დაბრძანდიო! მომმართავდა. ხანდახან ამგვარი დამოკიდებულება ცოტა ზედმეტადაც მეჩვენებოდა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, ბავშვთან ურთიერთობაში კანფეტის, ფულის თუ სხვა რამის ჩუქება კი არ არის მთავარი, არამედ განსაკუთრებული ურთიერთობის ჩამოყალიბება. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეთი არც დიმა მანებოვრება, მაგრამ ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა გექონდა, რომ თვალებით ვუგებდით ერთმანეთს.

– **თქვენ თბილისში დაიბადეთ და გაიზარდეთ, აქვე დაამთავრეთ სკოლა. მაშ, როგორ აღმოჩნდით სოხუმში ჯერ კიდევ ომამდე, მერე კი ფრონტის ხაზზე?**

– სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს ვფიქრობდი კიდევ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩამებარებინა, მაგრამ ოჯახურ საბჭოზე მსჯელობისას, დიმა მთქვა, იმდენი წავლება და ტკივილი ახლავს მსახიობობას, რომ სჯობს, სხვა პროფესია აირჩიო. ოჯახის საბჭოზევე გადაწყვეტიტეთ, სოხუმში, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ჩამებარებინა, იქ ახლად გახსნილ სატყეო, საპარკო და საბალო ფაკულტეტზე. იქ თუ ჩავაბარებდი, ვითომ გავმდიდრდებოდი, ფულს ვიმოვიდი და ამით გავიტანდი ჯიანების ოჯახს, რომელსაც არასოდეს ულხინდა.

– **შესაძლოა, ბატონ დიმა, თვითონ რომ სოხუმში დამკვიდრდა, შვილიც თავის გვერდით უნდოდა, ჰყოლოდა.**

– ალბათ, იქ მაინც მარტოსულად გრძნობდა თავს. ყველამ იცის, როგორ აღმოჩნდა დიმა სოხუმში, თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელმა რექტორმა ილია თავაძემ დაიბარა და უთხრა: – შენ სოხუმში ხარ საჭირო და იქ უნდა ნახვიდეო! დრომ ცხადყო, რომ ეს სიმართლე იყო.

როცა წამოვიზარდე, საზაფხულო არდადეგებს ყოველთვის სოხუმში ვატარებდი და იქაურობა ჩემთვის თანდათან ძალიან ახლობელი გახდა. ბევრი მეგობარი შევიძინე. გარდა ამისა, როგორც ყველა მსახიობის შვილი, მეც თეატრალურ საზოგადოებაში გავიზარდე, თეატრალურ კულისებსა და მის მტკერში. პატარ-პატარა როლებში შემიყვანდნენ ხოლმე და ორ-სამ სიტყვას მათქმევინებდნენ. ასეა თუ ისე, თეატრით ბავშვობიდანვე მოვიწამლე. თუმცა როგორც გითხარით, თეატრალურ გზას მაინც არ გავყევი.

აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ სკოლის პერიოდში (თბილისის ცნობილ I ექსპერიმენტულ სკოლაში ვსწავლობდი) მთელი 10 წელი თამაზ გოგოტიშვილის ქორეოგრაფიულ ანსამბლში ვცეკვავდი. ძალიან წარმატებული ანსამბლი იყო. მაშინ ორი ანსამბლი გადიოდა საზღვარგარეთ გასტროლებზე, რომელთაგან ერთი სუბიშვილების, მეორე კი გოგოტიშვილის ანსამბლი იყო. სუბტროპიკულში რომ ჩავაბარე, აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტთანაც არსებობდა ქორეოგრაფიული ანსამბლი ნოდარ ქავთარაძის ხელმძღვანელობით და ამ ანსამბლის წევრი გავხდი. მოგვიანებით სწორედ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი და მალე მეც იქ გადმოვედი.

– **მერე კი, როგორც ცნობილია, ომმა განწყობა ამ ანსამბლის ისტორიაც.**

– თითქოს სიმბოლური იყო, ჩვენ ფარიკაობას ვცეკვავდით, როცა დარბაზში შემოვარდა ვიღაცა და დაიყვირა: – რა გეცეკვებათ, ხალხნო, ომი დაიწყოო!

– **თქვენ მაშინ 19 წლის იყავით და მალევე გადაწყვეტიტეთ, ფრონტის ხაზზე წასულიყავით.**

– 3 წლის განმავლობაში სოხუმმა ძალიან შემაყვარა თავი, თანაც მე უკვე მყავდა იქ დიდი სამეგობრო. მართალია, ომის დაწყებისთანავე თბილისში ჩამოვედი, ერთ-ორ დღეში ყველაფერი დასრულდება და დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ როცა ვნახე, რომ ომი სერიოზულ ფაზაში გადავიდა, ჩემს თავს უფლება ვერ მივეცი, სოხუმისა და ჩემი მეგობრების გვერდით არ დავმდგარიყავი. ამასთანავე მინდოდა, რომ ფრონტის ხაზზე ბრმად არ წავსულიყავი, ისე რომ ავტომატის დაჭერა, პოზიციების დაკავება, მანევრები არ მცოდნოდა. მამაჩემმაც გადაწყვიტა, დახმარებოდა, ჩვენი თეატრის ბიჭები – გაი ფარცვანია, კახა ძაძამია და სხვები ავღანელთა კავშირში ირიცხებოდნენ და მეც მათ გვერდით გამაძნესეს.

მართალია, დედაჩემი ძალიან ნერვიულობდა და აპროტესტებდა ამ ფაქტს, მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე. გაპარვას ასე სჯობდა, სროლა მაინც მესწავლა, რათა ბრმა ტყვიას არ შევწირვოდი. ორთვიანი ვარჯიშის შემდეგ ავღანელთა კავშირს ჩავუდექი მწყობრში და ბოლომდე გვერდით ვედექით სოხუმს... მერე რაც მოხდა, ყველამ იცის... სოხუმიდან გოლგოთის გზად წოდებული საკენ-ჭუბერით წამოვედი.

– **ბატონი დიმა ხშირად ამბობდა, რომ ფიცი ჰქონდა დადებული, იმაზე, რაც ამ გზაზე ნახა, არასოდეს მოეყოლა. თქვენ როგორ იხსენებთ მას?**

– ჩვენ ერთად გამოვიარეთ ეს გზა, ერთად ვნახეთ, რა საშინელებებს სჩადიდოდნენ იქ ქართველები და ერთად დავიფიქვეთ, არასოდეს არავისთვის მოგვეთხრო ამაზე, რათა ქართველს ქართველი არ შესძლებოდა. თუმცა, ჭუბერში მარტო ცუდი ამბები არ გვინახავს, იყ-



ვნენ ოჯახები, რომლებმაც უამრავი დევნილი შეიფარეს და დააპურეს, რაც ებადათ, ყველაფერი დაუნანებლად გაიღეს მათთვის. გარდა ამისა, ჩვენ მაშინ მესტიაში ამოვყავით თავი და იქ, რევაზ ჯაფარიძისა და მისი ოჯახის თანადგომასაც ვერასოდეს დავივიწყებ.

– **ასე დაიწყო დევნილობის უმძიმესი წლები, როცა სხვა დევნილებით უმძიმდა თქვენს ოჯახსაც და დიმა ჯაიანის მეორე ოჯახს – სოხუმის თეატრსაც.**

– თბილისში ერთი ბედნიერება ის იყო, რომ სახლი დაგვხვდა, დედაჩემი და ბებიაჩემი აქ იყვნენ. მართალია, ეს დიმასთვის სიდერის სახლი იყო, ორთახიანი ბინა თბილისის ძველ უბანში, მაგრამ ხომ მაინც იყო. დიმა მაშინ ბინასთან ერთად ბევრ რამეს სთავაზობდნენ, მაგრამ ყველაფერზე უარი თქვა. მამაჩემის ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ გადაწყვეტიტე, ამ ყველაფერზე თანდათან მოვეყე. რატომღაც ყველას ეგონა, რომ ჩვენ მდიდრები ვიყავით, მალაზიები და რესტორნები გვქონდა, თუმცა დიმა სამიძმარზე მოსულმა საზოგადოებამ თავისი თვალთ ნახა, რომ ეს ასე არ იყო... ჩვენ სოხუმიდან არაფერი წამოგვლია, რაც გვეცვა, იმის ანაბარა წამოვედით. ჩვენთან ერთად დედაჩემიც არ მუშაობდა და რალაციით ხომ უნდა გვეარსება და დასაქმებაზე გვეზრუნა.

სოხუმის თეატრი, როგორც ცნობილია, 9 წელიწადი რუსთაველის თეატრმა და რობერტ სტურუამ შეიფარეს უანგაროდ. მაღლობა ამისთვის მათ. ეს იყო სოხუმის თეატრის დიდი შემოქმედებითი წარმატებების პერიოდი, გოგი ქავთარაძისეული სოხუმური ოქროს ხანის გაგრძელება.

მალე მე მუშაობა დავიწყე სახელმწიფო მეთაურის აპარატში, შემდეგ გადავედი პრეზიდენტის რეგიონალური მართვის სამსახურში, იქიდან ფინანსურ ლეგიონში, ბოლოს კი საბაჟოში, სადაც ვიყავი იქამდე, სანამ ის ავადსახსენებლები არ მოვიდნენ...

შემდეგ 9 წელი უმუშევარი ვიჯექი სახლში. 2012 წლიდან კი მოგვხსენებათ, რაც მოხდა: დიმა გახდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი. ცხოვრების სულ სხვა ეტაპი დაიწყო. დიმა აქამდე სოხუმის თეატრის გარდა, არც ერთ სხვა თეატრში, მით უმეტეს არც ერთ უწყებაში არასოდეს უმუშავია. ყოველთვის ჰქონდა იმის განცდა, რომ აფხაზეთში მალე დავბრუნდებოდით, ამიტომაც ეგუებოდა თითქოს სოხუმის თეატრის დროებით ჭერს, მაგრამ სამწუხაროდ, დაბრუნება დღემდე შორეულ ოცნებად რჩება.

– **ბატონი დიმა 2010 წლიდან აღარ იყო სოხუმის თეატრში, მაგრამ მის წინაშე შინაგან ვალდებულებას მაინც ყოველთვის გრძნობდა. მით უმეტეს, 2012 წლიდან, როცა მინისტრი გახდა, ცდილობდა თეატრისთვის ხელი მოემართა და კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა მის საკეთილდღეოდ.**

– დიმა საჯარო სამსახურის კაცი არ იყო, ის თეატრალი იყო, თეატრის კაცი. ამბობდა კიდევ, მე მინისტრი არ ვარ, დიმა ვარ ჯაიანი და მე დავიხურავ ქუდს და წავალ ამ თანამდებობიდან, როცა კი თეატრს დარბაზი ექნებაო.

– **დიმა ჯაიანის მოსვლა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროში შენობის განახლებით, ანსამბლისა და კაპელას სარეპეტიციო დარბაზების, საგამოფენო სივრცის, სოხუმის თეატრის ოფისის გარემონტებით დაიწყო.**

– დიმა მიზანი იყო ნორმალური სახე მიეცა ამ შენობისთვის, რომელმაც მართლაც ერთ

წელიწადში საგრძნობლად იცვალა იერი, რა თქმა უნდა, ბატონ ვახტანგ ყოლბაიას თანადგომითა და მხარდაჭერით. ბუნებრივია, როცა განათლებისა და კულტურის სამინისტროზეა ლაპარაკი, უპირველესად მისი შენობა უნდა იწვევდეს შესაბამის ემოციას. ახლა ამ შენობაში განთავსებულია აფხაზეთის ყველა სსიპ-ი, თეატრიდან სახელმწიფო ანსამბლამდე, ყველა აქ არის თავმოყრილი. ეს აფხაზეთის შემოქმედებითი ინტელიგენციის კულტურული ცხოვრებით დატვირთული შენობაა. ერთადერთი კერა, რომელიც თბილისში ეკუთვნის აფხაზეთის საზოგადოებას და რომლისთვისაც ახალი სიცოცხლის ჩასაბერად როგორმე უნდა დავანტერესოთ სოხუმელი, გაგრელი, გულირიფშელი, ოჩამჩირელი თუ გალელი... ბიზნესმენები, რათა გვერდით დავუდგეთ კულტურას, რითაც ვამაყობთ და რის გარდა არაფერი შემოგვრჩა აფხაზეთიდან.

დიმას კიდევ ერთი მიზანი დარჩა განუხორციელებელი. როგორც ცნობილია, სამინისტროს მეორე სართულზე არის 400 კაციანი დარბაზი, რომელიც გარემონტების შემდეგ შესანიშნავ თეატრალურ და საკონცერტო სივრცედ გადაიქცევა. ამჟამად მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქციისათვის საჭირო თანხის მოძიება. ბატონი ვახტანგ ყოლბაია, ბატონი მიხეილ გიორგაძე და დიმა მანამდეც იყვნენ ამ პროცესში ჩართულები. დიმა ოცნება იყო, რომ თეატრიდან თეატრში, დარბაზიდან დარბაზში მოწონილყო სოხუმის თეატრსა და სოხუმის მოზარდმაყურებელთა თეატრს საკუთარი დარბაზი ჰქონოდათ. დარბაზი, რომელსაც მრავალპროფილიანი დატვირთა ექნებოდა და აფხაზეთის კაპელას, ანსამბლ „აფხაზეთისა“ თუ აფხაზეთის სხვა მუსიკალურ კოლექტივებსაც დაიტევდა. ვფიქრობ, დიმა ამ ოცნების შესრულებას აფხაზეთის ა/რ განათლებისა კულტურის მინისტრთან მანანა ქვანახიასთან ერთად მეც გვერდით დავუდგე.

კულტურას ვერავინ წავგვართმევს. მას ერთადერთს თუ არა ერთ-ერთს მაინც შეუძლია, მიახედოს დევნილები იქითკენ, საიდანაც არიან, დაანახოს დანარჩენ საზოგადოებას, „რანი ვიყავით და რანი ვართ“, ჩემი მიზანიცა და სურვილიც ეს არის.

– **და ეს თქვენი თაობის ხმადაც უნდა აღვიქვათ ალბათ.**

– დიახ ჩემი თაობის როლი მართლაც გადაწყვეტია. შეუძლებელია, ისე შეაყვარო და დააინტერესო აფხაზეთით ის ადამიანები, ვისაც აფხაზეთში, სოხუმში, გაგრამი, გალში... თუ მის რომელიმე სხვა ქალაქსა თუ სოფელში ერთი დღე, ერთი წელი, ერთი წამი მაინც არ უცხოვრია, ან სულაც გავლით მაინც არ ყოფილა იქ. ვერ დააინტერესებ, რაც არ უნდა დიდი პატრიოტი და აფხაზეთის მოყვარული იყოს. იგივე ითქმის ჩემი თაობის აფხაზებზეც, რომელთაც ომის შემდეგ აფხაზეთში არც უცხოვრიათ. ვერ იცხოვრეს იმიტომაც, რომ აფხაზეთი ქართველების გარეშე ვერასოდეს იქნება ისეთი, როგორიც იყო.


– **ნათქვამია, სამშობლო მარტოდენ ლამაზი მთა-ბარი და ველ-მინდვრები როდია, არამედ უპირველესად, იქ მცხოვრები საზოგადოებააო.**

– და კიდევ, მთარული ფრაზაა „თბილისი იყო ურთიერთობა“ და ასევე ითქმის აფხაზეთზეც. სოხუმში არ იყო მარტო ზღვა და „ბრაზა-ლოკვა“, მარტო ამირანთან ყავის დაღვევა და კუკურასთან ჩაის სმა... ეს იყო ურთიერთობა და მისი დავიწყება წარმოუდგენელია.

„ჩემი სახლისაჲს მიმავალი გზა“, ჩომიქოე შორია

მაია შონია

აფხაზეთისაკენ მიმავალი გზა რაც დრო გადის, მით უფრო რთული და შორია. რთულია ენგურის ხიდის და ეგრეთ წოდებული საზღვრის გადალახვაც და ენგურს გაღმა დარჩენილ თანამემამულეებამდე მისასვლელი გზაც. ამ გზაზე ფიქრს, ოცნებას, ბარიერების გადალახვის დაუოკებელ სურვილს წლები ვერ ანელებს, პირიქით, სურვილი მძაფრდება და ამისი მაგალითია აფხაზეთის მხატვართა კავშირის პროექტი „ჩემი სახლისაკენ მიმავალი გზა“, რომელშიც სხვადასხვა თაობის 18 ხელოვანი ჩაერთო. ისინი, ვისთვისაც აფხაზეთის და ზოგადად, გზის თემა აქტუალური და ახლობელია. აღმოჩნდა, რომ მხატვრებს სათქმელი ბევრი აქვთ. ზოგიერთმა მათგანმა ათამდე ნამუშევარიც კი შექმნა და კიდევ მთელი წელი აპირებს ამ თემაზე მუშაობას. პლენერებისთვის ადგილებიც სიმბოლურად შეირჩა: წეროვანი, მცხეთის ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია და მუხათგვერდი... საიდანაც ცენტრალური ავტობანი, ანუ აფხაზეთისაკენ მიმავალი გზა ყველაზე კარგად მოჩანს. მხატვრებმა ძირითადი კონტურები ღია ცის ქვეშ მონიშნეს, შემდეგ კი მუშაობა სახელოსნოებში გააგრძელეს... საბოლოოდ, ნამუშევრებმა ერთ საგამოფენო სივრცეში – საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოიყარეს თავი. გამოფენას დაესწრო უამრავი ადამიანი, რომლებმაც მხატვრებს კიდევ ერთი წარმატებული გამოფენა მიულოცეს და თავიანთი შეფასებები გამოთქვეს. პროექტი აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებით, აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა. თავად მხატვრები პროექტში მონაწილეობის მიზეზებსა და მათ მიერ დანახულ გზებს ასე ხსნიან:



დავით ბაძალუა, აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: – რამდენიმე თვის წინათ 2010 წელს დახატული ჩემი ერთი ნახატი აღმოვაჩინე, „გზა“ დამირქმევია მისთვისაც. მხატვართა კავშირის სამუშაო გეგმაზე მუშაობისას, გადაწყვიტე, მოგვეწყო პლენერი, რომელსაც „ჩემი სახლისაკენ მიმავალი გზა“ დაერქმეოდა. პროექტში იგულისხმებოდა დევნილი მხატვრების ერთად გასვლა სხვადასხვა მიმართულებით. ძალიან მენატრება ჩემი სახლი და ვოცნებობ, მისკენ მიმავალი გზის რაც შეიძლება მალე გავლახე. სინამდვილეში, ტერიტორიულად რა ახლოსაა იქაურობა, მაგრამ შეიძლება სამჯერ შემოუარო მსოფლიოს და ეს მოკლე მანძილი კი ვერ გაიარო. ჩვენ ჩვენი შემოქმედებით ვცდილობთ, გავიაროთ ეს გზა და ასე გადავლახოთ ის ბარიერები, რაც ამ გზაზეა. მხატვრები სხვადასხვანაირად ფიქრობენ, სხვადასხვა რაკურსით ხედავენ, სხვადასხვა ფილოსოფიით ხსნიან ამ გზას. მხატვრების უმეტესობას ურჩევნია თავისთვის, მარტო სახელოსნოში ხატოს. პლენერზე ხატვის პროცესი სხვანაირია – მოდიან, გიყურებენ, გეკითხებიან, რაც სხვა ემოციებს იწვევს. აქ მეტი პროფესიონალიზმია საჭირო. საბედნიეროდ, ასეთი მხატვრები ჩვენ გვყავს. პროექტის ზოგიერთი მონაწილე კი პირველად წარსდგა საზოგადოების წინაშე. „ჩემი სახლისაკენ მიმავალი გზა“ შეიძლება პოლიტიკური გზა იყოს, მტყუან-მართალი ადამიანის გზა იყოს, შეიძლება იყოს შეცდომებით გავლილი გზა. შეიძლება, ვიღაცას ვიღაცა უყვარდა და განყდა სიყვარულის ძაფი და ახლა ცდილობს იმ სიყვარულის მოძებნას საკუთარი ფუნჯით. სახლი ჩვენი შინაგანი ბედნიერი სამყაროა და ძალიან საინტერესო იყო ამდენი ადამიანის ერთად გამოფენილი სამყაროს ნახვა. ვეცდებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც გავიტანოთ ეს გამოფენა, ამისთვის კი მუნიციპალიტეტებს შევთავაზებთ მხარდაჭერას. გვერდით გვიდგას საქართველოს მხატვართა კავშირი და მისი ხელმძღვანელი გურამ ცერცვაძე. მაღლობა მათ ამისთვის. შეიძლება ამ გამოფენამ სასწაული არ მოახდინოს, მაგრამ გავა წლები და ეს ნახატები თავის სათქმელს იტყვიან. მომავალი თაობები მათში ამოიკითხავენ იმას,



რომ ჩვენ ამ გზაზე ყოველთვის ვფიქრობდით.

ამირან კუპრავა, მხატვარი: – როგორც ახალბედა, ისე გამოცდილი მხატვრებიც ერთნაირად იღებენ ამ პროექტიდან რაღაც ახალს. ბოლო პერიოდში პლენერები არ ჩატარებულა არა მხოლოდ აფხაზეთის მხატვართა კავშირში, საქართველოს მასშტაბითაც. პლენერზე გასვლისას მნიშვნელოვანია ურთიერთობა. ძალიან ბევრს იძლევა ასეთი გასვლა. ცალი თვალთ მხატვარი მაინც იყურება სხვისკენ, თუნდაც ახალგაზრდისკენ. შეჯიბრივითაა და საინტერესოა თავისთავად. ეს რომ ასე არ იყოს, განვითარებაც არ იქნება. აკვირდები, სხვა მხატვარი როგორ გადახარშავს ყველაფერს და როგორ გადაიტანს მას სასურათო სიბრტყეზე. ეს არ არის რაღაცის ნატურალისტურად გადმოტანა, ან ის, რომ ბუნებას რამე მოპარო. ბუნებას ვერაფერს მოპარავ. შენეული ინტერპრეტაციაა მთავარი, შენეული აღქმა, თორემ ფოტოგრაფია დღეს ბრწყინ-



თემაცაა ჩართული ჩემს ნამუშევრებში. მე წარმოშობით ფოთელი ვარ და ეს თემა ჩემთვის ძალიან ახლობელია – კოლხური, ნოსტალგიური, ტკივილიანი. სამი კომპონენტია ჩართული ამ ყველაფერში – ტილო, მხატვარი და მესამე თვალი, ანუ დამთვალიერებელი, რომელიც გააჩნია, როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს.

თემურ საბულუა, მხატვარი, 27 წლის: – აფხაზეთში დავიბადე და გავიზარდე. სკოლა გალის რაიონის სოფელ საბერიოში დავამთავრე. 18 წლამდე იქ ვცხოვრობდი. შემდეგ ჩავაბარე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე. მოგვიანებით ფერწერით დავეინტერესდი. ყოველ წელს დავდიოდი ჩემს სახლში, მაგრამ ბოლო ორი წელია არ გადავსულვარ. ამიტომ გზის თემა ჩემთვისაც ძალიან აქტუალურია. აქამდე ვერ ვგრძნობდი და ახლა ვგრძნობ, რომ შეზღუდული ვარ – ვერ გადავდივარ. რაც დრო გადის, რთულდება სიტუაცია, საბუთები სულ იცვლება. აიღებ რაღაც დოკუმენტს და მეორე დღეს გეუბნებიან, რომ ის მოქმედი არ არის და ახალი უნდა აიღო. ვფიქრობ, დიდი გზა გვაქვს გასავლელი და ბევრი ბარიერი გადასალახი. მთავარია ურთიერთობა აფხაზ თანატოლებთან, მხოლოდ უფროსი თაობა



ვერაფერს იზამს. პატარებს უნდა ჩავუნერგოთ თავიდანვე, რომ ერთი მიწის შვილები ვართ და ერთად უნდა ვიყოთ – მთავარი გზავნილი ესაა. პროექტის შესახებ სოციალური ქსელიდან გავიგე, დავეკავშირდი დათოს და მეორე პლენერიდან შევეუერთდი მხატვრებს. მუხათგვერდში ვიყავით, სადაც ძალიან საინტერესო ხედებია. მე ბუნებას არ ვხატავ ხოლმე, უფრო ქალაქი და სოციალური თემატიკა მაინტერესებს, მაგრამ პლენერზე ბუნებისგან დიდი შთაბეჭდილება მივიღე, ნახატზე მუშაობა სახლში გავაგრძელე და ვფიქრობ, საინტერესო ნამუშევრები გამოვიდა. სულ სამი ნახატი მაქვს შესრულებული. ჩემს ნახატებში ჩანს ტკივილი, ღია ჭრილობა. ვისაც ეს ანუხებს, მაშინვე მიხვდება, ბავშვობაში, მახსოვს, მამაჩემს ზურგიით გადავყავდი ხოლმე ჩვენი სახლისაკენ მიმავალ გზაზე და ეს სიუჟეტი გავაცოცხლე ჩემს ნახატშიც. ფერები მუქია. ისე, ბევრი სულაც არ ხატავს მუქ ფერებში, მაგრამ მე მუქ ფერებს ვარჩევ. ეს პროექტი კარგი შესაძლებლობაა ჩვენი გრძნობების გამოსახატავად. ყველას ვურჩევ, ჩაერთოს მსგავს პროექტებში. ასე შეიძლება დავიბრუნოთ ის ხალხი.

ქეთი შენგელია, მხატვარი, 26 წლის: – გალში დავიბადე. ორი წლის ვიყავი, როცა ენგურის ხიდზე ჩემი ფეხით გადმოვედი. მეგონა კარგ ამბავში მივდიოდით, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა, ანუ ეს გზა უკვე გამოვლილი მაქვს. პროექტში ბოლო პლენერზე ჩავერთე – მუხათგვერდის ძმთა სასაფლაოზე ვიყავი. თემა ჩემთვის ძალიან აქტუალურია. ველარ დავდივარ ჩემს სახლში, დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ამიტომ გადავწყვიტე პროექტში გავერთიანებულიყავი და ნახატებით მეტყვა ჩემი სათქმელი. წლების წინათ აფხაზეთში, ჩემს



სახლში ყოფნისას ვნახე ჩემი აკვანი, სადაც მე და ჩემი ძმა გავიზარდეთ. ძალიან ლამაზი თეთრი ხის აკვანი იყო. ეს შთაბეჭდილება წარუშლელი იყო ჩემთვის. ნახატზე ჩემი ავტოპორტრეტი – პატარა გოგონა, რომელსაც მოაქვს აკვანი. პროფესიით ჟურნალისტი და თვითნასწავლი მხატვარი ვარ. აფხაზეთის თემაზე ვხატავ. ვფიქრობ, ასეთ პროექტებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. ჩვენ ჩვენი მშობლების მონაცოლით ვიცით აფხაზეთი, მათ ჩავგინერგეს ეს სიყვარული. ჩვენ რამდენად მოვახერხებთ ჩავუნერგოთ ასეთივე სიყვარული ჩვენს შვილებს, ძნელი სათქმელია. ამ პროექტით აფხაზ თანატოლებთანაც ვცდილობთ გზავნილების გაშვებას და მათგანაც ველოდებით პასუხს.



ლეგენდარული მეკარე ვლადიმერ მარლანია 90 წლის გახდებოდა

ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე – დინამო არენაზე თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა ნაკრების ყოფილი წევრი ვლადიმერ მარლანია გაიხსენეს. თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი პირველი თაობის ლეგენდარული მეკარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ მარლანია წლეულს 90 წლის გახდებოდა. იგი 1928 წლის 8 თებერვალს ქ. ოჩამჩირეში დაიბადა და 1958 წლის 6 სექტემბერს, 30 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიამ.

ვლადიმერ მარლანია 16 წლის ასაკში მიიწვიეს მეკარედ სოხუმის „დინამოში“, სადაც 12 წელი თამაშობდა. შემდეგ ის იყო თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი პირველი თაობის ლეგენდარული მეკა-



რე, სპორტის დამსახურებული ოსტატი. „დინამოში“ ასპარეზობისას (1947-58 წლები) მან 212 შეხვედრა ჩაატარა. ამ პერიოდში ვლადიმერ მარლანია საქართველოში საუკეთესო მეკარედ იყო აღიარებული. პარალელურად ის საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ნაკრებ გუნდში სათამაშოდ მიიწვიეს და ამ გუნდთან ერთად 1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიადის თამაშებში მონაწილეობდა. გარდა ამისა, ვლადიმერ მარლანია იყო 1950 წლის გათამაშების პრიზიორი, სსრკ-ს პირველობის ორგზის ვერცხლის მედალოსანი 1951 და 1953 წლებში, ორჯერ იყო დასახლებული 33 საუკეთესო ფეხურთელთა შორის.

ვლადიმერ მარლანიას გახსენების ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ ოჩამჩირის კავშირ „ერთობას“ ხელმძღვანელი თენგიზ ნორაკიძე და მისი მეგობრები, მხარდამჭერები კი აფხაზეთის ა/რ მთავრობა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ლონისძიებს ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, ვეტერანი ფეხბურთელები – ვლადიმერ ბარქაია, რევაზ ძოძუაშვილი, რობერტ ებრაელიძე, მამუკა კვარაცხელია და საქართველოს სხვა ფეხბურთელები და სპორტის ვეტერანები.

ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ქ. თბილისში აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთის თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციის მხარდაჭერით, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ამირან მაისურაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში გამართა.

შეჯიბრება ჩატარდა 2003-2005 ასაკობრივ 14 წონით კატეგორიაში: 26კგ., 29კგ., 32კგ., 35კგ., 38კგ., 41კგ., 44კგ., 48კგ., 52კგ., 57კგ., 62კგ., 68კგ., 75კგ., 85კგ., დაშვებული იყო +1კგ. ტურნირის ორგანიზატორი იყო აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო (უფროსი ვიტალი ბენდელიანი).

ტურნირის შედეგების მიხედვით აფხაზეთიდან დევნილ სპორტსმენთა შორის შეიძმა სპორტსმენმა დაიკავა სხვადასხვა საპრიზო ადგილი: გურჩიანი ლუკა – პირველი ადგილი 35 კგ წონით კატეგორიაში; ქვარიანი გიორგი – მე-3 ადგილი 57 კგ წონით კატეგორიაში; აბულაძე აკაკი – მე-3 ადგილი 68 კგ წონით კატეგორიაში; რურუა ლუკა – პირველი ადგილი 85 კგ. წონით კატეგორიაში (ბალდათი, აფხაზეთი). საპრიზო ადგილზე გასული ყველა სპორტსმენი დაჯილდოვდა შესაბამისი კატეგორიის დიპლომით, მედლითა და თასით. აგრეთვე საუკეთესო სპორტსმენებისათვის დაწესებული იყო თ. ბენდელიანის, ი. ომანაძის, ა. შენგელიას, გ. ხარებავას და გ. დარსანიას სახელობითი თასები, რომელთა შორის



ორი თასი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს, 3 კი აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაციას ეკუთვნოდა. ტურნირის მსაჯთა კოლეგიას საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი რუსლან დარჯანია ხელმძღვანელობდა.

გამარჯვებულებს შესაბამისი ჯილდოები გადასცეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ როლანდ ნიჟარაძემ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ვიტალი ბენდელიანმა, აფხაზეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი ყურაშვილმა, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა, სახელობითი თასების დამწესებელი ოჯახების წევრებმა და ა. შ.

აფხაზეთის საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით და აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის მხარდაჭერით ქ. თბილისში (სფფის სპორტდარბაზში) აფხაზეთის ღია საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში ჩატარდა.



ტურნირი ფარიკაობაში პირადი პირველობის სახით ხმალში, დაშნასა და რაპირაში 2003-2005, 2006-2008 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ბიჭებს შორის გაიმართა.

ტურნირის მიზანია აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობაში ფარიკაობის პოპულარიზაცია, წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ა. შ.



აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, დიოსელიანის სახელობის მძლეოსნობის სასახლეში ჩაატარა აფხაზეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში (პროგრამის სხვადასხვა სახეობაში) დიდებს შორის, ბირთვის კერაში კი 2001-2004 წ. წ. დაბადებულ ახალგაზრდებს შორის.

ასპარეზობა მძლეოსნობის ყველა სახეობაში დაძაბულად წარიმართა. აფხაზეთის სპორტსმენებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თანატოლებს და მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს:

ჭოკით ხტომა (გოგონები) – სალომე ინჯგია – I ადგილი, აფხაზეთი; ჭოკით ხტომა (ბიჭები) – საბა სოსელია – II ადგილი, აფხაზეთი; ბირთვის კერა (გოგონები) – სალომე ინჯგია – II ადგილი, აფხაზე-



თი; ბირთვის კერა (ბიჭები) – მიხეილ ცანავა – III ადგილი, აფხაზეთი; რბენა 100 მ. (გოგონები) – მედი შონია – I ადგილი, აფხაზეთი; რბენა 100 მ. (გოგონები) – სალომე ხაფიშია – II ადგილი, აფხაზეთი; სიგრძეზე ხტომა (გოგონები) – მედი შონია – I ადგილი, აფხაზეთი; სიგრძეზე ხტომა (ბიჭები) – საბა კურდღელია – I ადგილი, აფხაზეთი; სიგრძეზე ხტომა (ბიჭები) – ირაკლი გელანტია – II ადგილი, აფხაზეთი.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ღია პირველობაზე მძლეოსნობაში საქართველოს აბსოლუტური რეკორდი ბიჭებს შორის ბირთვის კერაში დაამყარა საბა ქარქუსაშვილმა შედეგით 4, 55 მ.

შეჯიბრებაში გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით და დიპლომებით. ასპარეზობაზე დაწესებული ბორის კიუტისა და თამაზ ჭყდიას სახელობითი თასები გადაეცათ 800 მ. რბენასა და ბირთვის კერაში გამარჯვებულ სპორტსმენებს.

სოხუმელმა სპორტსმენმა ირაკლი ცხოვრებაშვილმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა

ქ. თბილისში ჩატარდა ღია საერთაშორისო ტურნირი „რკინის ევრაზია“ (IRON EURASIA) ძალისმიერ სამჭიდსა და სამჭიდის ცალკეულ მოძრაობებში. ტურნირში საქართველოს, უკრაინის, ირანის, თურქეთის, აზერბაიჯანის, მოლდოვას, აშშ-ს, სომხეთის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრი 4 დისციპლინაში – ძალისმიერი სამჭიდი, ძალისმიერი ორჭიდი და წოლჭიმი – გაიმართა.

ტურნირზე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის და მათ შორის აფხაზეთის სპორტსმენებმა იასპარეზეს. საბოლოოდ, აფხაზეთის სპორტსმენებმა შემდეგი საპრიზო ადგილები დაიკავეს: ნიკა ჩახაია – პირველი ადგილი 75კგ წონით კატეგორიაში. მან ასევე მოიპოვა აბსოლუტური პირველობა ძალისმიერ სამჭიდში შედეგით 690კგ (სამჭიდის ჯამში (280+170+240)); ლევან გალდავა – პირველი ადგილი 125კგ წონით კატეგორიაში (ეკიპირებული დივიზიონი) ძალისმიერ სამჭიდში შედეგით 780კგ (სამჭიდის ჯამში (300+180+300)); აკაკი ჯინჭარაძე – მეორე ადგილი 100 კგ წონით კატეგორიაში წოლჭიმში შედეგით 190კგ; ლევან კოპალიანი – პირველი ადგილი 60კგ წონით კატეგორიაში ამონევამი, ასევე მეორე ადგილი აბსოლუტურ ჩათვლაში შედეგით 180კგ; ირაკლი ცხოვრებაშვილი – პირველი ადგილი 90კგ წონით კატეგორიაში



(ეკიპირებული დივიზიონი) წოლჭიმში. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ცხოვრებაშვილმა ასევე პირველი ადგილი დაიკავა აბსოლუტურ ჩათვლაში 261 კგ და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანებამ მადლობა გადაუხადა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს თანადგომისათვის.

სპორტულ-ჟულტურული ღონისძიება „მეგობრობა გზად და ხიდად“

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ახალგაზრდების მონაწილეობით, სპორტულ-კულტურული ღონისძიება „მეგობრობა გზად და ხიდად“ გამართა.



მისი მხარდამჭერი იყო აფხაზეთის ა/რ მთავრობისა და აფხაზეთის რეგიონული ოლიმპიური ორგანიზაცია, ინიციატორი და ორგანიზატორი კი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.

ღონისძიება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავს და საქართველოს ძირძველი კუთხეების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ახალგაზრდების მეგობრობას მიეძღვნა.

ღონისძიება სპორტული და კულტურული ნაწილებისაგან შედგებოდა. სპორტული ასპარეზობები ჩატარდა ბავშვებსა და ვეტერანებს შორის, მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, ბაგირის გადაძალვაში.

ასევე ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „სპორტული ვიქტორინა“.

სპორტულ ასპარეზობებში მონაწილე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გუნდები, ვეტერანი სპორტსმენები თასებით, მედლებით, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. ასევე ღონისძიებაში მონაწილე ყველა მხატვრულ კოლექტივი დასაჩუქრდა.

ქართული სპორტის განვითარებაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის წარმាტებული ვეტერანი სპორტსმენები – ვიქტორ სანევეი, კახი კახიაშვილი, ლერი ხაბელოვი, ლუკა კურტანიძე, ვლადიმერ გუცავეი, ვლადიმერ ბარქაია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ღონისძიებას ესრებოდნენ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოვეი, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია, მინისტრის პირველი მოადგილე როლანდ ნიჟარაძე და სხვ.



გვერდი მოამზადა ლელა მიქელაძემ.

აფხაზური ფოლკლორის დასაცავად

ნონა შონია

საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსა და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით, სენაკში კულტურულ-საგანმანათლებლო საღამო „აფხაზური ფოლკლორი საქართველოს მრავალფეროვანი და მდიდარი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილი“ ჩატარდა.

ლონისძიება ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე გაიმართა და მიზნად ისახავდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში წვლილის შეტანას. საღამოს მონაწილეებს უმასპინძლა სენაკის მუნიციპალიტეტმა, სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლამ და ნოქალაქევის არქეოლოგიურმა მუზეუმ-ნაკრძალმა.

სენაკის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი რუსუდან მილიუტინი) მასპინძლები და ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების ნორჩი მოცეკვავეები, მომღერლები და დეკლამატორები ერთმანეთის მონაცვლეობით ასრულებდნენ ქართულ და აფხაზურ ფოლკლორულ სიმღერებსა და

ცეკვებს, საფორტეპიანო და კლასიკურ ნაწარმოებებს, საგუნდო და სოლო სიმღერებს, კითხულობდნენ ქართულ და აფხაზურ ლექსებს.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერთანამშრომლებმა, მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, ოკუპირებული აფხაზეთიდან ჩამოსულ მოზარდებს ჩაუტარეს ტრენინგი საველე არქეოლოგიური სამუშაოების შესახებ. ტრენინგი „საბავშვო არქეოლოგიის პროგრამის“ ფარგლებში შედგა, რის შემდეგაც მოზარდებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ. ლონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩაია, ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, პროფესორი დავით ლომიტაშვილი, ამავე უწყების მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალებისა და საგანმანათლებლო სამსახურის სპეციალისტი, მუსიკოლოგიის დოქტორი სალომე ხშიადაშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გრიგოლ ბალათურია, გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ნონა შონია და სხვ. დასასრულ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები მარტვილის მონასტრის ეწვივნენ.



დევნილი ახალგაზრდა მხატვრების მიღება აფხაზეთის მთავრობაში

ეკატერინე გადილია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ აფხაზეთის მთავრობაში აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდა მხატვრების მიღება გამართა.

ვახტანგ ყოლბაიამ ხაზგასმით აღნიშნა, თუ როდენ დიდი ზოგადად ახალგაზრდა მხატვრების როლი ხელოვნების განვითარებაში. მათ შორის, ცხადია, აფხაზეთის მხატვრებისა, რომელთაც თვიანთი სიტყვა უნდა თქვან თვითმყოფადობით და სიახლეებისადმი მუდმივი სწრაფვით გამორჩეულ აფხაზეთის მხატვრობაში.

მთავრობის თავმჯდომარემ მათ ამ გზაზე წარმატებები უსურვა, ასევე თანადგომა აღუთქვა, დაეხმაროს მათ გამოფენების გამართვაში ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ და საჩუქრები გადასცა.

ახალგაზრდა მხატვრებმა მადლობა გადაიხადეს თბილისი მიღებისა და მათი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

მიღებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩაია, მთავრობის სხვა წევრები და აპარატის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

„წითლი ხაზი“ ანუ გამყოფი ხაზი ჭეშმარიტ სიღოვნებასა და „ოპირობა“ შორის

სალომე თორია

ვალერი არქანას სახელობის არტ-გალერეა ტექსტილის მხატვრისა და დიზაინერის – ეკატერინე გეგუჩაძის გამოფენას – „წითელი ხაზი“ უმასპინძლა. გამოფენის გახსნისას დამთვალერებულს საშუალება ჰქონდა დიზაინერის მიერ შექმნილი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ახალი კოლექციაც ეხილა.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და მიმდინარე ლონისძიებების სამსახურის უფროსმა კახაბერ ძაძამიამ გამოფენის გახსნისას სიამაყით აღნიშნა, რომ ხელოვანი ეკატერინე გეგუჩაძე მხატვრობის პირველ საფუძველს სოხუმის სამხატვრო სკოლაში დაუფლა. სწორედ აფხაზეთში ეზიარა ეკატერინე ხელოვნების ამ დარგს, რომელიც მოგვიანებით წარმატებით დააგვირგინა სამხატვრო აკადემიის სამაგისტრო ხარისხით ტექსტილის დიზაინში.

თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის პროფესორმა, ეკატერინე გეგუჩაძის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელმა თინათინ კლდიაშვილმა გამოფენის შეფასებისას აღნიშნა: – „ეკატერინეს უყვარს ის საქმე, რაც მან წარმოგიდგინა. იგი საოცრად მონდომებული და მოტივირებულია მუშაობისას. ვფიქრობ, რომ ეკატერინეს სახით, დღეს ჩვენ ტექსტილის სფეროში გვყავს ისეთი დიზაინერი, რომელსაც ძალიან დიდი მომავალი აქვს. მას აღებული აქვს ერთი მთავარი თემა – ორნამენტი, რომელიც მოძიებულია ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში, როცა დაჩითული ქსოვილები მზადდებოდა. ეკატერინემ თავის ნამუშევრებში აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ამ ერთი ორნამენტის გარდაქმნა და გადაყვანა აბსოლუტურად სულ სხვადასხვა აკრილიში.“

თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სამ-

ხატვრო აკადემიის პროფესორის თამარ გრიგოლიას აზრით, – „ეკატერინე გეგუჩაძის ნამუშევრები საოცრად ტრანსფორმირებულია. ერთი თემით მთელ სერხმალზეა აწყობილი სხვადასხვა მასალის ფაქტურები. მან ხაზი გაავლო, წითელი ხაზი, რომელზეც ამოებენ, რომ მისი გადაკვეთა არ შეიძლება. მაგრამ, გადაკვეთა ყოველთვის შეიძლება, რადგან ხომ ხედავთ, რა სილამაზეა გარშემო... ლაკონური, მტყეველი ფორმით და ფერით არის გადმოცემული ამ შემოქმედის საოცარი არსი.“

როგორც თავად ხელოვანი აღნიშნავს: „წითელი ხაზი, არის გამყოფი ხაზი ხელნაკეთსა და კოპირებას შორის.“ მართლაც, ეკატერინე გეგუჩაძემ უდიდესი შრომა და ენერგია ჩადო ხელოვნების ამ ურთულეს დარგში და წითელი ხაზით გამოყო ძველი ქართული ორნამენტი. მან შეიძლება ითქვას „გააცოცხალა“ და ახლებურად დაგვანახა იგი ტექსტილის სხვადასხვა ტექნიკაში. გამოფენაზე წარმოდგენილი ცივი ბატიკის, აბრეშუმის, ქაღალდის, გობელენის, თექისა და შიბორის ტექნიკაში შესრულებული ნამუშევრები ორიგინალობით, ინდივიდუალიზმით, ოსტატობითა და ფერთა საოცარი გამით გამოირჩეოდა, რითაც დაუფინყარი შთაბეჭდილება მოახდინა დამთვალიერებელზე.

ეკატერინე გეგუჩაძე, 2005 წლიდან დღემდე არაერთ სანტერესო გამოფენაში მონაწილეობდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ აღსანიშნავია: ხელნაკეთი ნივთების გამოფენა (სანტა-ფე, ამერიკა, 2005-2011 წლები); „საქართველოს დღეები“ (სტრასბურგი, 2012 წელი); პერსონალური გამოფენა სტამბულში („თურქეთი საქართველოში“, 2013 წელი); ტრა-

დიციული ქართული ხელნაკეთი ნივთების გამოფენა (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, 2013 წელი); ქართული კულტურის დღეები ირლანდიაში (დუბლინი, 2014 წელი); საშობაო გამოფენა მილანში („არტი-ჯი-ანო ფიერა“, 2014-2017 წლები); პერსონალური გამოფენა „ანარეკლი“ (თბილისი, 2014 წელი); პერსონალური გამოფენა „ძველი ქართული ხალიჩები ცივი ბატიკის ტექნიკით“ (თბილისი, 2015 წელი); გამოფენა „ალმოაჩინე საქართველო“ (ნიუ-იორკი, ამერიკა, 2015 წელი); ფრანკფურტის ხელნაკეთი ნივთების საერთაშორისო გამოფენა (გერმანია, 2016-2017 წლები) და სხვ.

ამიერიდან ეკატერინე გეგუჩაძის წარმატებული გამოფენების რიცხვს ვ. არქანას არტ-გალერეაში გამართული გამოფენაც შეემატება.



რედაქტორი ნატო კორსანტია

ნომერზე მუშაობდნენ: მაია შონია, ეკატერინე გადილია, სალომე თორია, რუსუდან ემუხვარი